# დროება

№ 4 ხუთშაბათი, 21 ნოემბერი 1908 წ. № 4

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით 90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია [illegible] ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭВА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.



## დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 23 ნოემბერს.

1908 წლის 18 ნოემბრიდან ქ. ტფილისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### დროება

ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მ. ნ. 50 კ., 1 თვით 90 კაპ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე.

**ხელის მოწერა შეიძლება**: ტფილისში: „დროების“ რედაქციაში (დიდი ვანქის ქუჩა N 12); „ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების“ მაღაზიაში მიქ. ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ., თავად აზნაურთა ქარვასლა).

ოლღა საჩინოს ასული შგილებაძეურთ, ნატალია და სოფიო ილარიონის ასულნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ პირველი—დაუვიწყარ ქმრის, ხოლო მეორენი—საყვარელ ძმის

### ვასილ ილარიონის ძის გაგაშვილისას

და სთხოვენ მობძანდნენ განსვენებაზე მისის გვამისა კვირას, 23 გიორგობის თვეს დილის 10 საათზედ, საკუთარ სახლიდან, ოლგინსკი ქუჩა, № 6, ქაშვეთის ეკკლესიაში. პანაშვიდები ყოველ დღე: 12 საათზედ დილით და საღამოს 6 საათზედ. (2—636—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხანაგობა **ანტონ ეიხენვალდის** გამგეობით პარასკევს, 21 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება

### „მხიარული ქვრივი“

მონაწილენი: ქ-ნნი ვიშკემსკაია, ფერრარი, კალინინა მეორე; ბ-ნი დანილევსკი, ევლახოვი, როსოლიმა, როზანოვი, კარელინი, ლუტჩოვი, ტომსკი და სხ.

დირიჟორი **ა. ეიხენვალდი** რეჟისორი **ც. ო. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 22 ნოემბერს სარაჯიშვილის მონაწილეობით „მარგალიტის მძიებელნი“

კავკასიის სამკურნალო წყლების გამგეობა

აუწყებს ბ-ნთ მომხმარებელთ, რომ მან ტფილისში გახსნა სახაზინო საწყობი კავკასიის ბუნებრივ სამკურნალო წყლების

### ნარზანის და ესენტუკისა № 20

სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კანტორა. ტელეფონი № 148.

Дворцовая улица, д. Сараджева, контора Россійскаго Транспортнаго и Страховаго Общества. Телефонъ N 148.

**ფასები საწყობში:**

ვაგონობით (120 ფუთი) . 1 მ. 80. კ. ფუთი
ფუთობით (100 ნახ. ბოთლი) 12 მ. 30 კ. „
ნახევარ-ბოთლებით ჭურჭლიანად 14 კ.—

(12—6—4) დირექტორი **ს. ტილიჩეევი.**

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ვორონცოვის N 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის [illegible] ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11-დან 1-ლ ს. და საღამოთი 5—6 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—599—25)

**ექიმი** კბილისა **გრიგ. ტუეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—5)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 6—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამღოინის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—31)

**ექიმი კ. თ. ტუეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარწყვე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—74)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—13)

**სამკურნალო** ქუთაისში ქირურგიული და ქალთა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, ძუძუმწოვ საწოლებით და მოსალოგინებელ ოთახით **ექიმი ივ. ბოკერიასი**

ამ წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თოფურიას სამკურნალო იყო. (ნ—8)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი N 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—ბავ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ. ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 12 ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურისა, ყელი. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევჭოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი** — | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—80)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **მ. ი. ბეჟიშვილი** იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—9)

**ფერშალი ლეონტი ი. ბარკალაია** უცრის ყვავილს. იღებს ყელჭირებს, ზონაგისა და ვენერიულ ავადმყოფთ ყოველდღე 3—6 საათამდე. გოგოლის ქუჩა N 68. (15—613—10)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ.—33)

გეომეტრი და მარკშაიდერი

### გ. ს. ასათიანი

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—6.—58)

მებლიანი ნომრები

### „ხარბინი“

**გიორგი მიკირტუმოვისა.**

პირველ ენკენისთვიდან გაიხსნა ახლად მოწყობილი ნომრები

**„ხარბინი“ ქ. ტფილისში რიყეზე**

ხოსროევის ქარვასლაში, სახლი № 92. შესანიშნავი სისუფთავეა, ფასები ზომიერია. ნომრებში იმყოფება **ექიმი** ხირურგიულისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. იღებს დილის 10 ნახევრიდან—11 ნახევარ საათამდის. (14—ხალ.—6)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

**ჰერგარტ ჰაუპტმანის**

ცნობილი და განთქმული დრამა

### „ავადმყოფი ხალხი“

დრამა 2 მოქ. ვ. გუნიას თარგმანი.

ფასი 20 კაპ. (10—633—3)

**სახალხო აუდიტორია**

(ავჭალის ქუჩა)

შაბათს, 22 ნოემბერს, 1908 წ. სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ სათეატრო სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება.

### „სამხედრო ბანაკში“

დრამა 4 მოქ., თარგ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. ანდრონიკაშვილი, ბ-ნნი ი. ივანიძე, ნ. გოცირიძე, გ. ანაშვილი, მ. ინაშვილი, გ. ჯაბაური, დ. ბაქრაძე, ს. ბაქრაძე, ა. ლექსოშვილი, გ. ჭინჭარაძე და სხვანი.

**დასაწყისი 7 1/2 საათზედ.**

(1—უ—1) რეჟისორი **ს. სვიმონიძე.**


## ტფილისი, 21 ნოემბერი.

პოლიტიკურ თავისუფლებათა რიგში მთავარი ადგილი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას უჭირავს. არავითარი სხვა მოქალაქობრივი თავისუფლება და თვით კანონიერი უფლებრივი ცხოვრება უზრუნველყოფილნი არ არიან, თუ პრესსას საკმაო თავისუფლება არა აქვს. ყველგან საკონსტიტუციო ქვეყნებში პრესსის თავისუფლება უაღრეს გარანტიად ითვლება პოლიტიკურ თავისუფლებისა და ერთი უმთავრესი იარაღთაგანია სახელმწიფო და საზოგადოებრივ პროგრესისა. ამიტომ ბეჭდვითი სიტყვის უფლებრივი მდგომარეობა საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ რა სიმაღლეზე სდგას ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილების განვითარება, თუ როგორია ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობა საზოგადოთ. პრესსის ამ მნიშვნელობით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველგან განმთავისუფლებელ მოძრაობას პირველი იერიში მიაქვს იმ ციხე-სიმაგრეზე, რომლითაც შეზღუდულია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და რომ განახლებულ ქვეყნის პირველი საკანონმდებლო სახალხო წარმომადგენლობა იჩქარის პირველად ამ მხრით უზრუნველჰყოს თავისი გამარჯვება.

რუსეთის განმათავისუფლებელმა მოძრაობამაც პირველი იერიში თვითმპყრობელობის ამ სიმაგრეზე მიიტანა. ჯერ 1905 წელს ძველი რეჟიმი იძულებული გახდა „დათმობის გზას“ დასდგომოდა. პრესსამ თავისი თავი გაინთავისუფლა და მთავრობამაც ეს ახალი უფლებრივი მდგომარეობა პრესსისა გამოხატა ვიტტეს ცნობილ „დროებით კანონებში“. წინასწარი ცენზურა მოისპო, ადმინისტრატიული შეხედულება და თვითნებობა შეიზღუდა, გაზეთის დაარსება გაადვილდა, პრესსის თვალყურის მდებელად სასამართლო გადიქცა და სხვა. ერთი სიტყვით, „დროებითი კანონები“ საკმაოდ უზრუნველჰყოფენ პრესსის თავისუფლებას და რუსეთში ამ ჟამად სამხედრო და სხვა განსაკუთრებული მართვის წესები რომ არ არსებობდნენ, პრესსის მდგომარეობა ამ „დროებით კანონების“ მეოხებით სრულებითაც ცუდი არ იქნებოდა. სამხედრო და სხვა გვარ განსაკუთრებულმა მდგომარეობამ, რასაკვირველია, დროებითი კანონების მოქმედება გააუქმეს და ეხლა ფაქტიურად პრესსა უკიდურეს ყოფაშია, მაგრამ, ხსენებული წესები რომ გაუქმდეს, პრესსის უფლებრივი მდგომარეობა, ვიმეორებთ, ურიგო არ იქნება...

მაგრამ იცვალა დრო. რეაქციამ გაიმარჯვა და შეაჩერა განმათავისუფლებელი მოძრაობა. სახალხო წარმომადგენლობის შედგენის წესი მოეწყო 3 ივნისის კანონის თანახმად და მთავრობაც სარგებლობს ხელსაყრელის პოლიტიკურის კონიუნკტურით, რათა ბეჭდვითი სიტყვის საქმე ისევ თავის სასარგებლოდ მოაწყოს. ამ დღეებში გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბეჭდვითი სიტყვის ახალ კანონების პროექტი, რომლის განხორციელება რუსეთის მრავალტანჯულ პრესსას ისევ შთააგდებს ძალმომრეობის და უუფლებობის ბნელს უფსკრულში...

ჩვენ ამ პროექტს თავის დროზე სავსებით დავბეჭდავთ და გავარჩევთ: აქ-კი მხოლოდ აღვნიშნავთ მის უმთავრეს თვისებათ, რითაც საკმაოდ დახასიათდება ის მომავალი, რომელსაც უმზადებენ რუსეთის პრესსას „გამარჯვებულნი“... უნდა აღვნიშნოთ, რომ „საკონსტიტუციო მთავრობას“ მაგალითად აულია ის წესები, რომელთა მეოხებით ამ ორის წლის განმავლობაში „განსაკუთრებულმა რეჟიმმა“ დაახრჩო პრესსა. ის სასტიკი სისტემა, რომელიც შემოიღეს „რევოლიუციასთან საბრძოლველად,“ ეხლა, როცა „მშვიდობიანობა დამყარდა,“ დაკანონებულ უნდა იქმნას. ახალ კანონპროექტის უმთავრესი მუხლია—ჯარიმებით პრესსის გამოხრჩობა. „დამნაშავე“ გაზეთი იხდის ჯარიმას 500 მანათიდან დაწყებული რამდენიმე ათი-ათას მანათამდე. თუ რედაქტორს არ შეუძლია გადახდა, იხდის გამომცემელი, თუ ესეც ვერ მოახერხებს, ამ შემთხვევაში ჯარიმის გადამხდელია მესტამბე. თავის დროზე მესტამბეების დასჯის შემოღება სასაცილოდ აიგდო მთელმა რუსეთმა, მაგრამ „საკონსტიტუციო მთავრობას“ ეს „უმაგალითო წესი“ ძალიან მოსწონებია და აი კანონადაც ჰსურს გადააქციოს. ამიერიდან პრესსას გაუჩნდება უმოწყალო ცენზურა—სტამბის პატრონი, რომელიც, რასაკვირველია, ყოველ ღონეს მიიღებს და ჯარიმას თავიდან აცდენისათვის ერთგულად იმუშავებს. გარდა ამისა, გაზეთის გამოცემის მსურველმა წინდაწინვე უნდა წარუდგინოს მთავრობას საბუთები, რომ მას შეძლება აქვს, თუ საჭიროება მოითხოვს, ჯარიმები იხადოს. ეს მოთხოვნა პირდაპირ აღდგენაა იმ წესისა, რომლითაც გაზეთის გამომცემელთ ბე უნდა წარედგინათ ხაზინაში.

როგორც ხედავთ, ეს ნაწილი კანონპროექტისა, რომელიც შეეხება პრესსის დასჯას, საკმაოდ მაგრად მოუჭერს მუხრუჭს ბეჭდვით სიტყვას; ეხლა შინ. საქ. სამინისტრო არკვევს კანონპროექტის მეორე ნაწილს: რედაქტორის ცენზის საკითხს, პრესსის თვალყურის გდებისათვის საჭირო დაწესებულებათა შემოღებას და სხვა. ეს ნაწილიც „შესაფერისად“ არის თურმე შემუშავებული... კანონპროექტი სულ მოკლე ხანში წარედგინება სათათბიროს, სადაც იგი, ეჭვი არაა, მოწონებული იქნება უმრავლესობისაგან.

ასე იწყება რუსეთის განახლება. პრესსის უფლებრივ მდგომარეობის გამორკვევა უტყუარი მაჩვენებელია იმისა, თუ რა ბედი მოელის დანარჩენ თავისუფლებათა გამორკვევასაც და რა მიმართულების მიიღებს, რა გზას დაადგება რუსეთის ახლანდელი მთავრობა თავის მორჩილ მონასთან—3 ივნისის სახალხო წარმომადგენლობასთან—ერთად.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მკითხველებს ეხსომებათ, რა აურზაური იყო საუნივერსიტეტო არჩევნების დროს ტფილისში. მთელი ქვეყანა შესძრეს, სახალხო უნივერსიტეტში ჩვენი კაცები უნდა შევიყვანოთ, თორემ საქმე დაილუპებაო. სწერდნენ, ლაპარაკობდნენ და ყვიროდნენ, რასაკვირველია, მუშების სახელით. თვით უნივერსიტეტში კი შეიყვანეს ისეთი კაცები, იგივე ინტელიგენტები, რომელთაც კრებაზე დასწრებაც კი ეზარებათ. მუშები აქ არაფერს შუაში არიან. ნამდვილი მუშა, რომელთა სახელითაც ხშირად სარგებლობენ ხოლმე დემაგოგები, არასოდეს არ დაიზარებს სახალხო უნივერსიტეტში მუშაობას. ეხლა თვით „ალი“ ჰგოდებს და სტირის, რომ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრები არა მუშაობენო. მერე ეგენი არ იყვნენ ის „ახალი ელემენტები“, „ახალი ძალები“, რომელთა მუყაით მუშაობასაც ასეთის რიხით გვპირდებოდით?

ქართულ სექციას განუზრახავს განაახლოს გამგეობა. „ალი“ სწერს:

რადგანაც ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა უმრავლესობამ ჩვეულებად გაიხადა სისტემატიურათ კრებებზე დაუსწრებლობა, მათი გულგრილი მოქმედების გამო უმცირესობაც იძულებული ხდება, ხელ-ფეხ შეკრული, გულ-ხელ დაკრეფილი იხედეს და იმის მაგიერ, რომ იზრუნონ ისედაც ფრთებ შეკვეცილი სახალხო უნივერსიტეტის საქმეების წინ წაყვანაზე, მარტო კრებების სხვა დროისათვის გადადებას-დანიშვნას ანდომებენ დროს. მომავალშიაც რომ ასე აღარ გამეორდეს, ქართულმა სექციამ, როგორც დაახლოვებით გაცნობილმა გამგეობის ყოველ მხრივ მოქმედებასთან, საჭიროდ სცნო მომავალმა საზოგადო კრებამ არსებული გამგეობის წევრთა უმრავლესობის მაგიერ ამოირჩიოს ისეთი ენერგიული მომუშავეები, რომლებიც ამავე გამგეობის წევრთა უმცირესობასთან ერთად დაუზარებლივ მოჰკიდებენ ხელს საქმეს და ხალხის კულტურულ მოთხოვნილებას რამდენათმე მაინც დააკმაყოფილებენ. სექცია კი ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ საზოგადო კრება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ყველა ამას,—აქედანვე შეუდგა კანდიდატების სიის შედგენას და რომ შემდეგში აღარ იქნას არჩეული ისეთი პირები, რომლებიც სხვადასხვა გვარ საქმეებში არიან ყელამდის ჩაფლული (როგორც მოხდა მიმდინარე წლის არჩევნებზე), ამოირჩია კომისია, რომელიც დაწვრილებით გაიგებს—კისრულობს თუ არა ესა თუ ის კანდიდატი გამგეობის წევრობას და შესძლებს თუ არა ძალა შეასრულოს ის საქმე, რომელსაც ავალებს სახალხო უნივერსიტეტის ინტერესები. ციან, ქართულმა სექციამ იკისრა მიმართოს ისეთ პირებს, რომლების მოღვაწეობაც შესაფერის ხალხის კულტურის ინტერესებს, რომლებიც ამას მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც დაამტკიცებენ, არ მოერიდებიან და განაცხადებენ თანხმობას გამგეობაში მუშაობაზე.

იმედია, აგრეთვე მოკიდებენ საქმეს ხელს სხვა სექციებიც და გამოანახავენ ისეთ პირებს, რომლებიც სარგებლობას მოუტანენ სახალხო უნივერსიტეტს თავიანთი ენერგიული მუშაობით.

„ნოვოსტი ზაკავ.“-ც აღნიშნავს იმ დაუდევრობას, რომელმაც ფეხი მოიკიდა სახალხო უნივერსიტეტის საქმეებში. ზემოხსენებულ მიზეზს გარდა, ამ დაუდევრობას, გაზეთის აზრით, ხელი შეუწყო ქალაქის გამგეობამაც და ადმინისტრაციამაც.

«ქალაქის თვითმართველობა, სწერს ხსენებული გაზეთი, სახალხო უნივერსიტეტის საქმეში პირდაპირ აღმაშფოთებლად იქცევა. ვიდრე სახალხო სახლი თავ. ა. ი. თუმანიშვილის ხელში იყო, მისი კარები ყოველთვის ღია იყო უნივერსიტეტისთვის. როგორც-კი ქალაქს გადაეცა სახლი, ყველაფერი შეიცვალა, თითქოს ძმ. ზუბალაშვილებმა იმიტომ დახარჯეს ხამასი ათასი მანეთი, რომ ქალაქს ზედ ექვს მაურიანი კლიტე დაედო და არავინ შეეშო.

რაც შეეხება ადმინისტრაციას, მან ხომ სულ აკრძალა ლექციები ადგილობრივ ენებზე.

*
* *

„ტფ. ლისტ“-ში ბ-ნი ი. პი—ანი ეხება აკაკის მომავალ იუბილეის და აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს, კულტურის ამაღლებასთან ერთად, უკეთესდება ერების ურთ-ერთი დამოკიდებულებაც. უნდა ვეცადოთ ერთმანეთის გაცნობას, ერთმანეთთან დაახლოვებას. ამასვე ხელს შეუწყობს ქართველთა პუშკინის—აკაკი წერეთლის იუბილეიო.

ჩვენ გვწამს,—სწერს ავტორი,—რომ ეს დღესასწაული არ იქნება მარტო ქართული, რომ მასში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ადგილობრივი გაზეთები და საზოგადოებრივი ჯგუფები. ჩვენ გვწამს, რომ მაგალითი ტფილისის ჟურნალისტთა საზოგადოებისა, რომელმაც დაადგინა პატივი სცეს იუბილიარს, მივარდნილ ადგილებშია-კი მიჰბაძავენ. გვწამს, რომ ეს იუბილეი ახალი საშუალება იქნება კავკასიის ერთა მეგობრობისა და ძმობის განსამტკიცებლად.

საჭიროა აკაკი წერეთლის იუბილეის კულტურულ დღესასწაულის ხასიათი მიეცეს. აზრი იუბილეისა, როგორც ეს, ეჭვი არ არის, საიუბილეო კომიტეტს ესმის, ის არის, რომ გავრცელდეს და გამტკიცდეს აკაკი წერეთლის ლიტერატურული გავლენა. ამისთვის უნდა გამოიცეს ხალხისთვის მისი საუკეთესო ნაწარმოებნი, გაიმართოს ყველგან სალიტერატურო დილა, გააცნონ ხალხს მისი ბიოგრაფია და მნიშვნელობა ლიტერატურაში. ამ მხრივ უკვე მუშაობს ქართველი საზოგადოება. სომხურ პრესამაც დაიწყო ბეჭდვა ცნობებისა და წერილებისა მომავალ იუბილეის შესახებ. სომხურ პრესსის ხელმძღვანელნი სცდილობენ, მიაწოდონ მკითხველებს რაც შეიძლება სრული და ნამდვილი ცნობები იუბილიარის ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ.

ვისურვოთ, რომ მომავალმა იუბილეიმ განამტკიცოს ერთმანეთის პატივისცემა.

## აკაკის იუბილეი

**ქიზიყი**. 16 ნოემბრისათვის ს. ქვემო-მაჩხაანის სამინისტრო სკოლის დარბაზში დანიშნული იყო ქვემო-ქიზიყის წარმომადგენელთა კრება იუბილეიში მონაწილეობის მიღების შესახებ. საძაგელი ამინდი იყო, მთელი დღე განუწყვეტლივ წვიმდა, მაგრამ მაინც სოფლებიდან საკმაო ხალხი მოვიდა კრებაზე. პირველად გადასწყვიტეს აკაკის იუბილეის დღეს, 7 დეკემბერს, ადგილობრივაც მოაწყონ დღესასწაული, რათა ხალხს გააცნონ იუბილიარის ღვაწლი. ამ აზრის სისრულეში მოსაყვანად კრებამ აირჩია შვიდი კაცი: დიმიტრი გონაშვილი, ილიკო მენთეშაშვილი, მღ. ეგ. მენთეშაშვილი, მღ. კ. ღვთისავარიშვილი, ოლღა ნატროშვილისა, მღ. კონდრატე ნინიკაშვილი და ვახტანგ ნაცვლიშვილი. ამ პირთ მიენდო, როგორც დღესასწაულის პროგრამის შემუშავება, ისე დღესასწაულის მოწყობა.

ამას გარდა კრებამ თვითეულ სოფელში რამდენიმე საპატიო კაცი დაასახელა, რომელთაც დაევალებათ ადგილობრივ ფულის მოკრება ფონდისათვის.

დასასრულ კრებამ აკაკის იუბილეიზე ქვემო-ქიზიყიდან დასასწრებლად და ადრესის წასაკითხად აირჩია დ. გონაშვილი. X.

**სახალხო უნივერსიტეტი.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ განიხილა საკითხი აკაკის იუბილეიში მონაწილეობის მიღების შესახებ და დაადგინა, გამართოს სახალხო ლექცია და გააცნონ მდაბიო ხალხს მწერლობა აკაკისა. შემოსავალი ლექციისა გადაიდება აკაკის ფონდის გასაძლიერებლად. საიუბილეო დღეს სახალხო უნივერსიტეტის სახელით იუბილიარს მიულოცავს დეპუტაცია.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**დუშეთის საქმე.** ტფ. ოლქის სასამართლომ გუშინ, 20 ნოემბერს, განაგრძო დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცების საქმის განხილვა. გუშინ ილაპარაკა პროკურორმა და ზოგიერთმა ვექილმა. სასამართლო განაჩენს უთუოდ ხვალ, 22 ნოემბერს, გამოაცხადებს.

**სახალხო უნივერსიტეტი.** როგორც იქნა, 18 ნოემბერს შესდგა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის სხდომა. ვ. ი. რცხილაძის ავადმყოფობის გამო თავმჯდომარეობდა როდზევიჩ-ბელევიჩი. დაესწრო მხოლოდ 7 წევრი. გამგეობამ პირველად განიხილა მოხსენება ნაძალადევში რუსულ სკოლის მეორე განყოფილების დახურვის შესახებ, რადგან ამ განყოფილებაში საკმაო რიცხვი არ დაიარება. გამგეობამ რუსულ სექციის და მდივანს დაავალა, გამოარკვიოს, როგორ არის სწავლის საქმე დაყენებული აღნიშნულ სკოლაში და შემდეგ მოხსენება წარუდგინონ. შემდეგ გამგეობამ განიხილა საკითხი აკაკის იუბილეის შესახებ. დასასრულ, განიხილა პროექტი ინსტრუქციისა ქართულ, რუსულ, თათრულ და სხვა სექციების სახელმძღვანელოდ. გამგეობამ პროექტი ინსტრუქციისა მცირეოდენის ცვლილებით მიიღო და დაადგინა დაავალოს ყველა სექციას განიხილოს პროექტი და თავისი მოსაზრებანი წარუდგინონ გამგეობას. შემდეგ პროექტი საზოგადო კრებას წარედგინება დასამტკიცებლად.

**მეურნეთა კრება.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, როგორც ვიცით, ამ რამდენიმე თვის წინად შუამდგომლობა აღსძრა, ნება მიეცეს 7—15 დეკემბერს გამართოს კავკასიელ მეურნეთა კრება. საზოგადოების საბჭომ ამ ორი დღის წინად მიიღო ნებართვა, მაგრამ პროგრამიდან ბევრი საყურადღებო საკითხები აღმოჩნდა ამოშლილი. გარდა ამისა, ნებართვა გვიან მოვიდა და 7 დეკემბრისთვის ძნელია კრების მოწვევა მომზადება. განზრახულია, კრება გადასდონ მომავალ წლის მარტისათვის.

**სხდომა.** დღეისთვის დანიშნულია სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს მოხსენება ავლაბარში მოზრდილთათვის ქართულ წერა-კითხვის სკოლის დაარსების შესახებ და სხვ.

**ვიცე-პრეზიდენტის წასვლა.** კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ოფიციალური ბარათი მიიღო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის ქ. ა. ვერმიშევისგან — თავს ვანებებ ვიცე-პრეზიდენტობასაო. ახლო მომავლისათვის საბჭო დანიშნავს კრებას ახალ ვიცე-პრეზიდენტის ასარჩევად.

**ჯამაგირი ვერ დარიგდა.** ქალაქის კასაში უფულობისა გამო ტფ. ქალაქის თვითმმართველობის დაწესებულებათა მოხელეებს და მუშებს ჯამაგირი ვერ დაურიგეს გუშინ. ჯამაგირს ამ თვის დამლევს დაარიგებენ.

**გუბერნიის მარშალი.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი ოთხი თვით საზღვარ-გარედ მიდის. მის თანამდებობას აასრულებს თავ. ა. ი. თუმანიშვილი.

**საღამო.** დეკემბრის პირველ რიცხვებში ახალ ქართულ თეატრში გაიმართება საღამო საკონცერტო განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მომღერალი სარაჯიშვილი. შემოსავლის ნახევარი გადაიდება ილია ჭავჭავაძისა და აკაკის ფონდების სასარგებლოდ, ხოლო ნახევარი—ფილარმონიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

**ოპერა ქუთაისში.** თფილისიდან ქუთაისში მიემგზავრება 20 ნოემბერს საიმპერატორო თეატრის არტისტი ქალი დრუზიაკინა, სადაც მონაწილეობას მიიღებს საღამოში, რომელიც იმართება 21 ნოემბერს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის სასარგებლოდ.

**უმაღლეს კურსებზე.** შაბათს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი) სტეფანე ლისიციანი წაიკითხავს ლექციას შემდეგი სათაურით: „ურარტუელების ხანა სომხეთის ისტორიაში“.

**საქმე პეტარდის შესახებ.** 5 დეკემბრისთვის ტფ. ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ტფ. ქალაქის თავის თ. ნ. ჩერქეზიშვილის შვილის, მეორე გიმნაზიის მოსწავლის ევგენი ჩერქეზიშვილისა, რომელსაც ჰბრალდება გიმნაზიაში, აქტის დროს, პეტარდის გადაგდება. პასუხის გებაში რამდენიმე სხვა გიმნაზიელიც არის მიცემული.

**ახალი გაზეთი.** საგუბერნიო მთავრობამ ნება დართო იოსებ მერკვილაძეს გამოსცეს ქართული ყოველ დღიური გაზეთი ამ სათაურით „ჩვენი ხმა“.

**ყალბი ბილეთები.** ეს ათი დღეა, ტფ. ოლქის სასამართლო არჩევს საქმეს ლაზარე და სამუილ იხილჩიკებისა, ივანე ბობროვისა, პავლე ჩიხლაძისა, ერმალოზ ხავთასისა და სხვათა (სულ 13 კაცია), რომელთაც ჰბრალდებათ რკინის გზის ყალბ ბილეთების დამზადება და გასაღება. ბილეთები მზადდებოდა და საღდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს ბილეთები ხმარებაში იყო არა თუ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, არამედ რუსეთის გზების ზოგიერთ შტოებზედაც. სასამართლოში ამ საქმის გამო 80 მოწმე დაიბარეს. საქმის გარჩევა დაიწყო 10 ნოემბერს. გუშინ სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი 9 კაცი. მისჯა: ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და თითო წლით პატიმართა გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა ლაზარე და სამუილ იხილჩიკებს და ივანე ბობროვს; დაპატიმრება პავლე ჩიხლაძეს, ერმალოზ ხავთასს, იოსებ ფირალოვს და რაფიელ პანდულოვს—რვა-რვა თვით; სიმონ ლალაევს— 2 თვით, ბაგრატ შახნაზაროვს—ერთი თვითა და ათი დღით. სასამართლომ გაამართლა რაფიელ ვოლოხი, ოლღა ილიჩიკი, ვ. კრავჩენკო და ნიკოლოზ ბროდსკი. ხაზინის ინტერესის დამცველმა დამნაშავეთაგან მოითხოვა ხაზინის სასარგებლოდ 40 ათასი მან. სასამართლომ დაადგინა, დამნაშავეთ გადახდეს ხაზინის სასარგებლოდ 8000 მან.

ტფ. პოლიციმეისტრის თანაშემწის მოვალეობის აღმასრულებელმა შტაბს-კაპიტანმა ნიკოლაევმა დაავალა ბოქაულებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალაქში ეტლების, დროგების და ურმების მიმოსვლას. ამასთანავე პოლიციმეისტერი აფრთხილებს პოლიციელთ, თუ შეამჩნევენ იქმნებიან ვინ. გუბერნატორის ამ საქმის შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევაში პასუხის გებაში მიეცემიან.

დღეისთვის დანიშნულია სხდომა კავ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოში; რომელსაც განსახილველად აქვს რამდენიმე მიმდინარე საქმე.

19 ნოემბერს, საღამოს 6 საათზედ, მალაკნის ქუჩაზე, გიორგი მესხიევის დუქანში შესულა სამი შეიარაღებული კაცი და დუქანში მყოფთათვის უბძანებიათ, ადგილიდან არ დაძრულიყვნენ. შემდეგ მესხიევისათვის წაურთმევიათ 75 მანეთის ვერცხლის ქამარი, დახლიდან ამოუღიათ 20 მანეთი და გაქცეულან. პოლიციამ დააპატიმრა ალექსანდრე ნავრუზაშვილი, რომელსაც გაჩხრეკის დროს არც იარაღი აღმოსჩენია და არც ფული, გარდა 1 მან. 94 კაპეიკისა.

ტფ. ტრამვაის ინჟინერის ოტტო ეიმუსის სახლიდან ქურდებს გაუტაციათ 500 მანეთის ნივთები. დააპატიმრეს სერგო ულუხანოვი, რომელსაც ბრალდება ნივთების მოპარვა.

## ქუთაისი

**წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილება.** 16 ნოემბერს ქუთაისის საკრებულოს დარბაზში შეიკრიბა სწორედ 30 წევრი წერა-კითხვის საზოგადოებასა, რომელთაც უნდა დაეარსებინათ ქუთაისის განყოფილება. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ბ-ნი დავით ლორთქიფანიძე, რომელმაც წინადადება მისცა შეკრებილთ, განესაზღვრათ მოქმედების რაიონი. კრებამ ქუთაისის განყოფილების რაიონად დაასახელა ქუთაისისა და შორაპნის მაზრა და რაჭა-ლეჩხუმი. შემდეგ ამისა კრებამ საჭიროდ სცნო, რომ გამგეობაში, თავმჯდომარის გარდა, ექვსი წევრი ყოფილიყო და კიდევაც შეუდგა კანდიდატების დასახელებას ბარათებით. თავმჯდომარედ დაასახელეს ბ-ნი გიორგი ზდანოვიჩი და დავით ლორთქიფანიძე. უკანასკნელმა კენჭის ყრაზე უარი განაცხადა და ამნაირად ბ. გიორგ. ზდანოვიჩი ერთ-ხმად იქნა არჩეული გამგეობის თავმჯდომარედ. გამგეობის წევრის ადგილზე ბევრი იქნა დასახელებული, ხოლო კენჭი იყარეს შემდეგმა პირებმა: იოსებ ოცხელმა (29 თ.), იაკობ ფანცხავამ 28 თ.—1 შ.), იასონ ბაქრაძემ (27—2). სილოვან ხუნდაძემ (26—3), სამსონ ყიფიანმა (21—8), ბართლომე მოსეშვილმა (20—9), რაჟდენ კანდელაკმა (19—10), ისიდორე კვიცარიძემ (16—12), სერგო რობაქიძემ (13—16). ამ რიგად, გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ ბ-ნნი ოცხელი, ფანცხავა, ბაქრაძე, ხუნდაძე, ყიფიანი და მოსეშვილი. კრების ოქმი უკვე გაეგზავნა საზოგადოების გამგეობას ქუთაისის განყოფილების დასაკანონებლად.

**კრება არ შესდგა.** 19 ამ თვეს უნდა მომხდარიყო საგანგებო კრება ქუთაისის თავად-აზნაურობისა, რომელსაც უნდა განეხილა საკითხი ბანკიდან ფულის მიღების შესახებ. კრებაზე გამოცხადდა მცირე რიცხვი თავად-აზნაურობისა და ამიტომ გუბერნიის მარშალმა კრება სხვა დროისთვის გადასდო.

**შეპყრობა.** ამას წინად მოჰკლეს ს. სვიმონეთის მემამულე ჩიხლაძე; ეჭვი ამ მკვლელობაში მიიტანეს ორ მოსწავლეზე ჭუბურიძეზე და ლოლაძეზე, რომელნიც პოლიციამ უკვე შეიპყრო.

**პურის ნიხრი.** ქალაქის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე შესაძლებლად სცნო პურის ნიხრის შემცირება ოყაზე ერთი კაპეიკით. ეხლა მეპურეებს გამგეობაში შეუტანიათ განცხადება, რომ პურის ნიხრს შემცირება კი არა, მომატება უნდაო, რადგან ფქვილის ფასმა მოიმატაო.

**ბენეფისი [illegible] დავითაშვილისა.** 21 ამ თვეს ქ-ნი [illegible] ვის საბენეფისოდ [illegible] კის „მონა ვანას“. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქუთაისის საზოგადოება დააფასებს ქ-ნ დავითაშვილის მოღვაწეობას და წარმოდგენას დაესწრება.

**ტყის მცველთა კრება.** 1 დეკემბრისათვის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის მოწოდებით ქუთაისში შეიკრიბებიან გუბერნიის ტყის მცველები (ლესნიჩები), რომელთაც, სხვათა შორის, უნდა განიხილონ საკითხი სახაზინო თავისუფალ ადგილების გადაცემა უმიწო გლეხებზე.

**არჩევნები ოზურგეთში.** 17 ნოემბერს მოხდა ხელ-ახლა არჩევნები ქალაქის მამასახლისისა და მისი კანდიდატისა. მამასახლისად არჩეულ იქმნა ბებურ ბებურიშვილი, მის კანდიდატად ბ-ნი ბერიძე.

18 ამ თვეს ქალაქის გამგეობაში მოხდა ვაჭრობა სასწორის გასაცემად. მსურველი იჯარისა ბევრი აღმოჩნდა და უდიდესი ფასი 4200 მან. შეაძლია ნ. შავგულიძემ, რომელსაც გადაეცა სასწორი სამი წლის ვადით. აქამდის სასწორი 2555 მანეთად იყო გაცემული.

# სპარსეთის ამბები

### ბრძოლა ადერბეიჯანში.

„პეტ. დეპ. სააგენტოს“ ატყობინებენ თავრიზიდან: სათარ-ხანმა დაატუსაღა ქალ. მარანდის გუბერნატორი რიზა-კული-ხანი, იმისი ძმა, ცხენოსნების უფროსი რეშიდ-ნიზამი და სხვები და ახალი გუბერნატორი დანიშნა.

მაქოს ხანის ცხენოსნებმა ალყა შემოარტყეს ქალ. სალმასტსა და მის მიდამოებს. ხანს ბრძანება მოსვლია თეირანიდან, თუ გაიმარჯვებ, სასტიკად დასაჯე სალმასტი რადგან იქ სომეხთა კომიტეტი იმყოფებაო. ამის გამო თავრიზელი სომხები შეშინებულნი არიან: თავიანთ ოჯახებისა და ნათესავების ბედისა ეფიქრებათ.

სათარ-ხანის მომხრეები თავრიზიდან სალმასტში მიდიან და გზა და გზა სოფლებს იჭერენ. ტესვიჯში მათ მოჰკლეს მმართველი. სალმასტის გუბერნატორმა დახმარება სთხოვა მაქოს ხანს.

### აჯანყება მეშხედში.

სამღვდელოების მიერ წაქეზებული ხალხი გადასახადს აღარ აძლევს მთა-

# ფელეტონი

## ადამიანის ბუნებიდან

### სიბერეზე.*)

როგორც ყველამ ვიცით, ბუნებაში ყოველივე ორგანიული არსება იბადება, მერე გარდადის ამ სოფლიდან და მიწათ იქცევა. ამ გვარივე „ბუნების მეფის“ ადამიანის ხვედრიც. ისიც იბადება, იზრდება, ბერდება და ბოლოს ესალმება ამ წუთი-სოფელს. ჯერ მას ვერ მიუგნია იმ ხერხისათვის, რომლითაც შეიძლებოდეს ამ ბოლოს თავიდან აცილება.

სიბერის საკითხი ყოველთვის დიდად აინტერესებდა მოაზრე კაცობრიობას. მისს ასახსნელად ბევრი თეორია გამოუგონიათ სწავლულებს, ბევრი იმასაც ცდილა, გამოეგონა იმ გვარი საშუალება, რომლითაც შესაძლო ყოფილიყო ადამიანის გაახალგაზრდავება, მაგრამ დღემდე მათ თეორიულადაც არავის არა გამოუგონია რა. არც გასაკვირველია, რადგან სიბერე წარმოადგენს ბუნებრივ სიკვდილს, ესე იგი იმ გვარსავე იდუმალ დილემას, როგორიც არის თვით სიცოცხლე.

ბოლო დროს სიბერის საკითხის შესწავლას შესდგომია პროფ. მეჩნიკოვიც და გამოუქვეყნებია თავისი ახალი შრომა „Современное состояніе вопроса объ атрофіи“ „L'annebiologique“, „Къ вопросу о старости“—რომელშიაც იგი უახლოვდება საკითხს არა თუ თეორიულად, არამედ ცდითაც.

„სიკვდილი —ამბობს მეჩნიკოვი, —გვეჩვენება ჩვენ რაღაც ბუნებრივ და აუცილებელ მოვლენად. მას დიდი ხანია უყურებენ როგორც თავისებურ თვისებას, რომელიც თანა სდევს ყოველსავე ორგანიზმს. მაგრამ, როდესაც ბიოლოგები შეუდგნენ საკითხის დაწვრილებით შესწავლას, ვერა გამოძებნეს რა ამ დებულების დასამტკიცებელი.“ გამოჩენილი ემბრიოლოგი ვეისმანი, რომელზედაც წინა წერილებში გვქონდა ლაპარაკი, ამტკიცებს, რომ ერთ უჯრიანი მცენარე და ცხოველი უკვდავნი არიანო. რადგანაც ეს არსებანი მრავლდებიან ხშირის გაყოფით, ადვილი წარმოსადგენიაო, რომ მათ შეუძლიანთ დაუსრულებლად იცოცხლონო, რომ მათ შორის ვერ შეხვდებით ბუნებრივ სიკვდილსაო, რომ ეს უკანასკნელი ხვედრია ბევრ უჯრიან ორგანიზმებისო. მისის სიტყვით, „ბუნებრივი სიკვდილი წარმოადგენს შეწყობილებას, რომელიც საჭიროა მოდგმისათვის, ე. ი. არსებობის გარეგნულ პირობების თავისებურ დათმობას და არა რაღაც აუცილებელს, რომელზედაც დამყარებულია თვით სიცოცხლის მყოფობა.“ ამ გვარი მოსაზრებით ვეისმანი ამტკიცებს, „სიკვდილის ნამდვილი მიზეზი უნდა ვეძიოთ გამრავლების ნიჭიერების შემოკლებაში და არა თვით უჯრების დაბერებაშიო.“

ამ გვარ შეხედულებით სიბერის უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს, ერთის მხრით, უჯრების გამრავლების თანდათანი დასუსტება და, მეორეს მხრით, კვანძის უჯრების განახლების შეუძლებლობა.

მეჩნიკოვიც სავსებით ეთანხმება ვეისმანის ამ გვარ დასკვნას და დარწმუნებულია, რომ ერთ უჯრიანი ორგანიზმები არა კვდებიან ბუნებრივის სიკვდილით, მაგრამ ამ გვარი დასკვნა, როგორც გვიმტკიცებენ სხვა სწავლულები, სიმართლეს მოკლებული ყოფილა. საქმე იმაშია, რომ ერთ უჯრიანი არსებანიც ექვემდებარებიან დროს კანონს, მათ არ შეუძლიანთ, როგორც ფიქრობდა ვეისმანი და ფიქრობს მეჩნიკოვი, დაუსრულებლად გაყოფა და გამრავლება. პირიქით, როგორც გვარწმუნებს ცნობილი ზოოლოგი მოოპი, ერთ უჯრიან არსებას ცხოვრების ენერგია რამდენიმე გაყოფის შემდეგ თანდათან აკლდება, სრულიად ეკარგება გამრავლების ხალისი და ბოლოს კიდევაც კვდებაო. ამასვე გვასწავლიდა პროფ. თარხნიშვილი: „ცხოვრებაში შემომქმედი როლი ეკუთვნის უჯრების ბირთვულ ნივთიერებას; გაყოფის დროს ეს ბირთვული ნივთიერება იყოფა, რის გამო შემდგომ გაყოფებში მას თანდათან აკლდება ძალა; ბირთვის დასუსტებას, რასაკვირველია, მოჰყვება თვით უჯრების დასუსტებაც“. მოოპი იმასაც ამბობს, რომ შესაძლოა ამ გვარი დასუსტების შეჩერებაო: „ამ გვარ შემთხვევაში საჭიროა კონიუგაცია, ე. ი. უჯრების ერთი მეორესთან შეერთება. უკონიუგაციოთ უჯრები ბევრი გაყოფის შემდეგ უეჭველად უნდა დაიხოცნონო“. მაშასადამე, როგორც გვიმტკიცებენ პროფ. მოოპი და ი. თარხნიშვილი, ერთ უჯრიან არსებებშიაც შეუძლებელი ყოფილა ინდივიდუალური სიკვდილი, აქაც ჰქონია ადგილი მილევას, სიბერეს და ბუნებრივ სიკვდილს, მაგრამ მეჩნიკოვი არ თანაუგრძნობს მოოპს და თარხნიშვილს და ცდილობს სიბერის მიზეზი გამონახოს მხოლოდ უჯრების ურთიერთ დამოკიდებულებაში, მათ ურთიერთ ბრძოლაში და არა თვით ამ უჯრების ბიოლოგიურ არსებაში.

ჯერ კიდევ გამოჩენილი ბაქტერიოლოგი რუ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სხეულის უჯრებში ხდება მუდმივი ბრძოლა და ამ ბრძოლაზეა დამყარებული მისი ზრდა, წარმართება და ცვლილებაო, მაგრამ მან ვერ დაამთავრა ეს სწავლა. მხოლოდ მეჩნიკოვმა შეისწავლა ყოველ მხრივ ეს ბრძოლა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სიბერეც შედეგი ყოფილა ამ ბრძოლისა. „რადგანაც სიბერეს ყოველთვის თანა სდევს წონის შემოკლება, ის უნდა წარმოადგენდეს მილევასო,“ და მართლაც მილევის მოვლენანი დიდად ზედ ემტევიან სიბერეში. „სიბერე,—ამბობს პროფ. პოდვისოცკი,—წარმოადგენს ფიზიოლოგიურ მილევას და ხასიათდება იმით, რომ ძარღვების, ჯირკვლების, მუსკულების უჯრები პატარავდებიან; ნაწლევების, კანის, ძვლების, ხრტილის უჯრებიც თანდათან ილევიან, კვანძების სიფართოვე და სიმკრივე სუსტდება—ამასთანავე სხეულს თანდათან უმცირდება მადა, დამამუშავებელი პროცესსი სუსტდება, ნივთიერების შეცვლა იგვიანებს, კვანძები თანდათან დნება, სხვა და სხვა გვარად გარდაგვარდება, სისხლის მილები მაგრდება, კირდება.“ საზოგადოდ ამ გვარია ის ცვლილებანი, რომელსაც ვხედავთ ხერხემლიან ცხოველთა სიბერის დროს. ამგვარი ბებრული მილევა ეტყობა დაბლა მდგომ ცხოველებსაც, მაგ., როდესაც მწერის მატლი იცვლება დასრულებულ ფორმა, თავდიდა-ბაყაყად და სხვა ყველა ამ გვარ შემთხვევებში, სხეულს უპატარავდება არა მარტო უჯრები, არამედ სრულიად ეკარგება მთელი ორგანოებიც. „ამ გვარ მილევის გამო,—ამბობს პროფ. მეჩნიკოვი,—ის ორგანოები, რომელნიც სასარგებლოდ ითვლებიან ემბრიონალურ ხანაში და ხდებიან არა საჭიროდ შემდეგში, იცვლებიან ახალ ორგანოებით—ამ რიგად მჭიდროთ იკიდებს ფეხს ბუნებაში ცხოველთა წარმართება.“ მაგრამ ამასთან ბუნებაში იმასაც ვამჩნევთ, რომ ის ორგანოები, რომელნიც ველარ მუშაობენ, ველარ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, ველარ უწევენ სამსახურს სხეულს, თანდათან კლებულობენ და ილევიან. მაგ. იმ ცხოველებს, რომელნიც მუდამ მიწის ქვეშ ცხოვრობენ სიბნელეში, თვალები თანდათან ელევათ და ბოლოს სრულიად ეკარგებათ.

თუ ყოველივე ასეა, რაა მიზეზი ამ მილევისა? მეჩნიკოვის აზრით, ამგვარ მილევის მიზეზი ყოფილან ფაგოციტები ანუ უჯრები-შთანთქმელები, რომლებზედაც ლაპარაკი გვქონდა ამას წინად დაბეჭდილ ფელეტონში. საჭიროდ ვთვლით ცოტა ვრცლად შევჩერდეთ აქ ამ ფაგოციტებზე. სხეულში სცხოვრობენ ერთგვარი მოწანწალე, ამიობის მსგავსი, უჯრები, რომელთაც სახელად უწოდებენ ლეიკოციტებს ანუ ფაგოციტებს. ამათ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ცურიანი აგებულება. ესენი თავიანთ ტანის სხვა და სხვა ადგილიდან უშვებენ ბაბილოებს, რომლითაც უჯარი იჭერს გარეშე ნივთიერებას, ახვევს თავის პროტოპლაზმაში და სჭამს. ამრიგად, ფაგოციტები თავს ესხმიან და სჭამენ სისხლში შესულ მავნე ბაქტერიებს, იჭერენ ყოველგვარ სხვა ნივთიერებებს და თუ ვერ შესჭამენ, სცდილობენ გამოიტანონ ან ნაწლევებში ან სხვა გამოსასვლელ ადგილებში. ერთის სიტყვით, ლეიკოციტები სცდილობენ დამცველების როლის შესრულებას. ისინი იცავენ სხეულის კვანძებს, სისხლს, შიგნეულობის და სხვ. ყოველგვარ მავნე გავლენისაგან. მაგრამ ამით არა თავდება ფაგოციტების მოქმედება. როდესაც სხეულში ილუპება რომელიმე ნაწილი, ისინი სწრაფად ესევიან დამღვრეულ უჯრებს და სჭამენ. ამ დროს გაფუჭებულ ადგილს ბლომად აწვება სისხლი და მათი დახმარებით იწვევს ანთებას.

როგორც შეუმჩნევია მეჩნიკოვს, ამ გვარივე ანალოგიური მოვლენა ემჩნევა კვანძების მილევის დროს. ეს ფაგოციტები უჭამენ კუდს თავდიდას. ეს ფაგოციტები ეხმარებიან მწერებს, როდესაც მატლიდან გამოუდით სრული ფორმები და უჭამენ არა საჭირო, უსარგებლო მუსკულებს, ძარღვებს. ეს ფაგოციტები იღებენ უმთავრეს მონაწილეობას, მაგ., მიწის ქვეშ მცხოვრებ ცხოველების თვალების მილევაში; სხვა შემთხვევის მილევის პროცესშიაც ისევ ეს ფაგოციტები იჩენენ უპირატესობას. ერთის სიტყვით, თვალჩინოა ფაგოციტების მოქმედება და მათი უნარი ყოვლად დაუფასებელი.

ასე დიდ მნიშვნელოვანია ფაგოციტების როლი მილევის დროს, მეჩნიკოვის აზრით, მაგრამ ყველა მაინც არ თანაუგრძნობს მას. მაგ., ნეტცელი და კარაევი ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი მწერების გარდაგვარების, სხეულის შეცვლის დროს ფაგოციტებს სულ არავითარი გავლენა არა აქვთო; სხვები კი იმასაც ამბობენ, რომ, თუმცა ფაგოციტ[illegible]

*) იხ. „დროება“ № 3.

ვრობას. მეორე დღეა ბაზრები დაკეტილია. ქალაქში სამხედრო წესები დაიწყ[illegible].

**შაჰის ახალი ბრძანება**

„რეჩ.“-ს ატყობინებენ თეირანიდან: სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ხელახლად განაცხადა ინგლის-რუსეთის ნოტის პასუხად, რომ შაჰს განზრახვა აქვს უბოძოს თავის ხალხს ისეთი მეჯლისი, როგორიც შეეფერება ხალხის ხასიათსა და სურვილსაო. ბრძანება ამნისტიის შესახებ გამოცხადებულ იქნება 19 ნოემბერს. ბრძანებაში მოწონებულია უკვე გამოცხადებული პროგრამა რეფორმებისა. ამნისტია არ შეეხება ათს უფრო მძიმე დანაშაულს, მათ შორის აგიტატორების დამალვასაც. აქედან სჩანს, რომ ბრძანება არ შესცვლის იმ პირთა მდგომარეობას, რომელნიც დაისაჯნენ სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგობისთვის.

**სპარსეთი და ევროპა**

როგორც ვიცით, სპარსელმა კონსტიტუციონალისტებმა დეპეშა გაუგზავნეს ფრანგულ გაზეთებს. ამის თაობაზე საინტერესო ცნობებს ატყობინებს თავის გაზეთს „რეჩ“-ის კორესპონდენტი: „ეს დეპეშა მოუვიდა ყველა დიდ ფრანგულ გაზეთებს, მაგრამ მხოლოდ „აქსიონ“-მა და „ჰუმანიტე“-მ დაბეჭდეს. „თავისუფლების სახელით საფრანგეთის ერმა ყურადღება უნდა მიაქციოს სპარსელ კონსტიტუციონალისტების უბედურს მდგომარეობასაო“, ეწერა დეპეშაში; ამის წინააღმდეგ არას იტყოდნენ არც „ფიგარო“, არც „მატენ“-ი და არც თვით ოფიციალური „ტან“-ი. მაგრამ დეპეშაში ამას გარდა ეწერა: „დაარწმუნეთ რუსები, რომ აღარ გაერივნენ სპარსეთის შინაურ საქმეებშიო“; ეს არა თუ მარტო გარეშეს, საფინანსო პოლიტიკასაც შეეხებოდა და მოფიქრებას თხოულობდა. ფინანსთა წრეების რჩევით გაზეთის რედაქტორების სინდიკატმა დაადგინა: არაფერი არ უნდა გამოვაცხადოთ ისეთი, რაც ასე თუ ისე შეეხება ოფიციალურ რუსეთსო, და რედაქტორებიც იძულებულნი არიან დაემორჩილონ ამ დადგენილებას. „რას ვიზამთ,—მითხრა ერთის რედაქციის მდივანმა,—იძულებულნი ვართ დავემორჩილოთ საფინანსო ცენზურას, ისე როგორც თქვენ—გენერალ-გუბერნატორებისას.

ერთს სხვა ფრანგ ჟურნალისტთან ერთად მე წაველ სპარსეთის საელჩოში,—მინდოდა უფრო დაწვრილებით გამეცნო „უბედური მდგომარეობა“ თავისუფლებისათვის მებრძოლთა შაჰების ქვეყანაში. ცნობილია, რომ ეს საელჩო პარიზში წარმომადგენელია უფრო კონსტიტუციონალურ სპარსეთისა, ვიდრე შაჰის მთავრობისა. თითონ ელჩს (ძმაა განადგურებულ მეჯლისის თავმჯდომარედ ნამყოფისა—ესეც პარიზში ცხოვრობს ამ ჟამად) და მის მდივნებს ევროპიული განათლება აქვთ მიღებული და რასაკვირველია, ისინი არ თანაუგრძნობენ სპარსეთის მხეცურ სისხლის მწოველ რეაქციას. წარსულ ზაფხულს შაჰმა მოინდომა მთელის აქაურ საელჩოს დათხოვნა, მაგრამ საფრანგეთის მთავრობა წინააღუდგა ამას და პარიზში დარჩა ისევ ძველი კონსტიტუციონური საელჩო, მით უმეტეს, რომ შაჰს არც ფული ჰქონდა ახალ დიპლომატების გამოსაგზავნად. აქაურ საელჩოს თავრიზელ რევოლიუციონერებისაგან უფრო მეტი ცნობა მოსდის, ვიდრე შაჰის მინისტრებისაგან.

საელჩოში ძლიერ მოსწონთ თავრიზის ენჯუმენის მიმართვა საფრანგეთის საზოგადოებისადმი. მაგრამ საელჩოს აზრით, ენჯუმენმა მაგნაირივე დეპეშა უნდა გაუგზავნოს რუსეთის საზოგადოებასაც; ჩვენ ვურჩევთ ენჯუმენს, რომ რუსეთის გაზეთებსა და სახელმწიფო სათათბიროსაც მიჰმართოსო.

— დეე იცოდეს კონსტიტუციონურმა რუსეთმა, რომ კონსტიტუციონურ სპარსეთს არავითარი სიძულვილი არა აქვს მისდამი და პირიქით იმედი აქვს მისი დახმარებისა. რუსეთს დიდი სახელი აქვს ჩვენში, მაგრამ შაჰი ბოროტად სარგებლობს ამ სახელით და მის შემწეობით ხალხსა სჩაგრავს. რუსის ყაზახებმა და რუსის კონსულებმა დაარწმუნეს ჩვენი ხალხი, რომ რუსეთი დახმარებას გაუწევს სპარსელ რეაქციონერებსო. რეაქციას ჩვენში ასულდგმულებს სწორედ რუსეთის შიში და არა შაჰის ჯარი, რომელსაც ხალხი მალე აუგებს ანდერძს, სხვებმა რომ თავი დაანებონ. რუსეთმა რომ ელჩის გარდა, გაიწვიოს აგრეთვე თავისი კონსულები თავრიზიდან და რეშტიდან და ნამეტნავად პოლკოვნიკი ლ[illegible]ხოვი, ჩვენი ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავს და ხელად დაიბრუნებს კონსტიტუციას.

— შაჰი ირწმუნება, რომ ხალხი და სამღვდელოება ერთხმად წინააღმდეგნი არიან კონსტიტუციისაო.

— ხალხიო?—მოგვიგეს ჩვენმა მოსაუბრე სპარსელებმა,—ხალხს ხმაც არ ამოაღებინეს. სულ ორიოდე თვის წინად ჩვენმა საზოგადოებამ მოითხოვა ფართე რეფორმები, ეხლა კი ჩვენში დახურეს ყველა გაზეთები. რეაქციონური გაზეთებიც კი აღარ გამოდის, რადგან ნიჭიერ რეაქციონერ პუბლიცისტებს ვერა შოვობენ. შაჰი ირწმუნება, რომ ხალხის დელეგატებმა მომთხოვეს კონსტიტუციის გაუქმებაო. მაგრამ ევროპაში უკვე იციან, როგორ მორეკეს ეს დელეგატები შაჰის ბანაკში. თუმცა მათგანაც კი რამდენიმე კაცმა მოითხოვა კონსტიტუციის აღდგენა, მაგრამ შაჰმა ყურიც არ გაიბერტყა ამაზე. რაც შეეხება სამღვდელოებას, იგი განუწყვეტლივ ქადაგებს თავისუფლების იდეებს. არიან საზიზღარნი მოღალატენი სამღვდელოთა შორისაც, მაგრამ სპარსეთის ერმა იცის, რომ მისი სულიერი მოძღვარნი, დიდი მუშტეიდი მოლა-ქაზიმი და მისი თანამშრომელი ჰაჯი-მოლა-ჰილილი თავისუფლების მეგობრები არიან. ვიმეორებთ: რუსეთის მთავრობამ რომ აუკრძალოს რუსის აფიცრებს ბრძოლა კონსტიტუციონალისტების წინააღმდეგ—შაჰი დაუყოვნებლივ დაუთმობს ხალხსა. ეს რუსეთისთვისაც სასარგებლო იქნებოდა: რეაქცია დიდხანს ვერ გასტანს და ჩვენი ხალხი-კი არას დროს არ დაივიწყებს უცხო სახელმწიფოსაგან წყენას და მის საქმეებში ჩარევას.

დასასრულ ჩვენმა მოსაუბრეებმა წაგვიკითხეს ადრესი, რომელიც სტამბოლში მცხოვრებ სპარსელთა კოლონიამ ჩააბარა ყველა სახელმწიფოთა ელჩებს. „ევროპიელებო,—სწერია ადრესში,—თქვენ, რომლებმაც მოსპეთ ზანგების მონობა, თქვენ, რომლებიც სცემთ კანონებს პირუტყვების მფარველობის შესახებ, ჩვენც დაგვიგდეთ ყური! გულგრილად როგორ იხმენთ იმ საშინელს გმინვას, რომელიც თქვენს გვერდით გ ისმის. ჩვენი მთავრობა ახალგაზდა გამოუცდელ შაჰის ხელშია. სამართლიანობის მიმდევარნო ერნო, განათლებულ ქვეყნების მინისტრებო, ყური დაგვიგდეთ! ჩვენი სურვილი გონიერი და ზომიერია. ჩვენ მხოლოდ იმას ვთხოულობთ, რომ ჩვენმა შაჰმა პატივი სცეს კონსტიტუციას. აღადგინოს კონსტიტუცია და სპარსეთში მაშინვე დამყარდება წესიერება. შაჰი ყოყმანობს, და თუ ევროპის სახელმწიფოები ერთპირად გამოესარჩლებიან ჩვენს კონსტიტუციას—იგი დაუყოვნებლივ შეასრულებს თავის მოვალეობას. ევროპა რომ ესე მოიქცეს—მთელი სპარსეთი უკუნითი უკუნისამდე იქნება მისი მადლიერი“.

ამას გარდა სპარსელ ქალთა კომიტეტმაც სთხოვა დახმარება ევროპის დედოფლებს და მრავალი თანაგრძნობით სავსე პასუხი მიიღო, სხვათა შორის ინგლისის დედოფლისაგანაც“.

**შაჰმა მამული იყიდა რუსეთში.**

„ბ. ეხო“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: „შაჰმა თადარიგი დაიჭირა, რომ ხელად შეეძლოს გაქცევა სპარსეთიდან. მისმა რწმუნებულმა მამული იყიდა რუსეთში.

## ოსმალეთი

**სენატორების დანიშვნა.**

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტევფიკი და სახალხო განათლების მინისტრი ეკრემი დანიშნეს სენატორებად, („პ. ს.“)

**ქალების გაყიდვის აკრძალვა.**

ოსმალეთის მთავრობამ აკრძალა ჩერქეზის ქალებით ვაჭრობა. მონაქალები განთავისუფლეს. (კ)

**არჩევნები.**

ქალ. იანინაში მოხდა შეტაკება ოსმალელ და ბერძენ ამომრჩეველთა შორის, ექვსი ოსმალო მოჰკლეს.

## ბალკანეთი

**ბოლგარია და ოსმალეთი**

„ბოლგარიის სააგენტო“ იუწყება: უკანასკნელ დროს ზოგიერთი გაზეთები განზრახ ხმებს ავრცელებენ, ვითომ ბოლგარიაში მცხოვრებ ოსმალებს აწუხებენ ბოლგარებიო. სააგენტო კატეგორიულად აცხადებს, რომ ეს ცნობები წარმოადგენენ ცილის-წამებას.

ბოლგარიის სამივე დელეგატი წავიდა სტამბოლიდან. ოსმალეთის მთავრობა შემდეგს აცხადებს ბოლგარია-ოსმალეთის მოლაპარაკების შესახებ: ბოლგარიის დელეგატებმა განიხილეს ყველა საკითხები, რომლების მოწეს-რიგება აუცილებელი იყო, და წავიდნენ მოხსენების წარსადგენად ბოლგარიის მინისტრთა საბჭოსადმი. ლიაპჩევი ისევ დაბრუნდება, როდესაც ოსმალეთს შეეძლება იმ საკითხების საბოლოოდ მოწესრიგება, რომლებიც შეადგენენ მოლაპარაკების საგანს.

**ავსტრიის საქონლის ბოიკოტი**

ახალგაზდა ოსმალები აცხადებენ, რომ ავსტრიის საქონელს მხოლოდ მაშინ მოუხსნით ბოიკოტს, როდესაც ავსტრია ისწავლის ოსმალეთის უფლების პატივისცემასაო.

**ავსტრია საომრად ემზადება**

ვენაში ომის გუნებაზე არიან.

იმპერატორის მემკვიდრე და სამხედრო წრეები დაჟინებით თხოულობენ, ეხლავე დავიჭიროთ ბელგრადიო; ოსმალეთთან ომსაც კი ნუ მოვერიდებითო.

ავსტრიელებს ხაზინის ფული გააქვთ ბოსნიიდან.

გერმანელები და ურიები იყრებიან ბოსნიიდან.

**ინგლისი და ოსმალეთი**

ინგლისი დაჰპირდა ოსმალეთს, თუ ომი მოხდა, მე დავიცავ ოსმალეთის ნავთ-სადგურებსაო.

## თეატრის მატიანე

**ქუთაისი.** 16 ნოემბერს ქუთაისის დრამატიულ დასის ამხანაგობამ წარმოადგინა შალვა დადიანის ერთმოქმედებიანი ახალი პიესა: „როს ნადირობდნენ“ და ფრანც ფონ-შენტანისაგან გ. აბაშიძის მიერ ნათარგმნი 3 მოქმედებიანი კომედია: „ჯამბაზები“. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. ჩვეულებრივის ხელოვნებით შეასრულა ქ-ნმა ტასო აბაშიძემ დიდის როლი („ჯამბაზებში“). აქ ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო ბ-ნის შ. დადიანის პიესას.

პიესაში გამოყვანილია ბატონი, ყმა, ბერი, მგოსანი, მეცნიერი, კაპიტალისტი და მუშა. ბატონი განცხრომაშია: იმის სახლში სულ ქეიფი, სულ ნადიმია. ყმები უნდო პირუტყვებადა ჰყავს გადაქცეული: ბატონს პირდაპირ შეხედვას ვერ უბედავენ; მას ნება[illegible] ჯურის წერა[illegible] ერთ დღეს, [illegible] გუნებაზეა და სადილის წინ თავის მორჩილ ყმებს მოწყალებას ურიგებს, შემოდის მწირი—ბერი. ბატონი მას პატივისცემით მიიღებს, შემოსვლ ძღვნად შესთავაზებს სამოსლით და სუფრაზე მიიწვევს. სულიერი მამა აუხსნის ბატონს ეკლესიის აშენების საჭიროებას და სთხოვს შემწეობას. ბატონი აღუთქვამს დახმარებას და ისედაც ათასნაირ გადასახადით გაძვალტყავებულ სოფელს გააწერს გადასახადს ეკლესიის ასაშენებლად. შემოდიან მეცნიერი და მგოსანი. თუმცა მათი მისვლა მასპინძელს არაფრად ეპიტნავება, მაგრამ ზრდილობისათვის მაინც იწვევს სუფრაზე. პირველი სულ წიგნებს ჩაჰკირკიტებს და იკვლევს ჭეშმარიტებას, მეორე კი ბუნებას ეტრფის, ეალერსება და თან ჰქადაგებს ძმობას, ერთობას, თავისუფლებას. შემდეგ შემოიჭრება დაუპატიჟებელი სტუმარი, კაპიტალისტი, რომელიც მასპინძლის დაუკითხავად მიუჯდება სუფრას და ღვინოს არხეინად შეექცევა. იგი უცხადებს ბატონს, რომ მისი სუფევის ხანა უკვე გადავიდა და დადგა სუფევა კაპიტალისა; რომ ახლა ბატონი ოქროა და არა კაცი. ამ სიტყვებით იგი მუჭა-მუჭა გადაუყრის ფულს ბატონის მოსამსახურე გლეხებს, რომელთაც ბატონის შიში და რიდი სრულიად ავიწყდებათ, ფულს სწრაფად აგროვებენ და გახარებულნი გარბიან. ბატონს ძლიერ არა სწყინს კაპიტალისტის ასეთი თავხედობა, მაგრამ უკანასკნელი ამას ყურადღებასაც არ აქცევს. ამ დროს, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, შემოიჭრებიან მუშები. ერთი მათგანი,—ეტყობა, უთაური,—მიიჭრება სუფრასთან და მოითხოვს, რომ მუქთამჭამელებმა სუფრა დაუთმონ მათ, შრომისა შვილთ, რომელნიც თავის მარჯვენითა და ოფლით ჰქმნიან სიმდიდრეს. ვაჟკაცები წამოცვივდებიან სუფრიდან. ბატონს სურს ძალა იხმაროს მუშის წინააღმდეგ, ეძახის მოსამსახურეებს, მაგრამ ისინი არა სჩანან. ამავე დროს შორიდან მოისმის სარევოლიუციო ჰიმნი, რომელიც თანდათან უახლოვდება ბატონის სასახლეს...

პიესა ეფექტიურია, განსაკუთრებით უკანასკნელი სურათი; სასცენოდ კარგადაა მოწყობილი და საზოგადოდ მაყურებლებზე კარგ შთაბეჭდილებას ახ-

ტებს დიდი სამსახური მიუძღვით სხეულის წინაშე, მაგრამ მაინც ყოველ შემთხვევაში მათი მოქმედება დიდად შეზღუდულია და შეფერებული გარეგან პირობებისაგანო. სხვათა შორის, აი, რას ამბობს პროფ. პოდვისოცკი: „თუმცა დასუსტებულ უჯრათა შეწოვნა და განთქვეფა ხდება ფაგოციტების საშუალებით, მაგრამ აქ დიდი მნიშვნელობა აქვს კვანძთა წვენის მოქმედებასაც“, ამ აზრისა არიან ებერტლოოსი, ნეიმანი და პრეიერი.

ამ გვარი აზრი, რასაკვირველია, ცოტა არ იყოს ავიწროებს ფაგოციტების როლს, მაგრამ მეჩნიკოვი მაინც ჟინიანობს და ამტკიცებს: „სისხლის უკან დახევა კუდის გარდაქმნის დროს უნდა ჩაითვალოს მილევის შედეგად და არა მიზეზად. კვანძების მილევის მიზეზი უფრო ღრმაა და გამოიხატება უჯრათა განცალკევებულ მოქმედებაშიო“. ამის დასამტკიცებლად მეჩნიკოვს მოჰყავს ის ფაქტი, რომ მილევის ნიშნები ეტყობათ უხერხემლო ცხოველებსაც, რომელთაც სისხლი არა აქვთ. როგორც უნდა იყოს, მეჩნიკოვის შეხედულობით, მილევის, ე. ი. უჯრების შეწუწვნის და თან და თანის დაუძლურების დროს უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ ფაგოციტებს. საჭიროა, განვმარტოთ შემდეგი: ყველა ფაგოციტი ერთ ნაირი არ არის; მაგ. ერთ გვარი ფაგოციტები პატარა ტანისანი არიან, ბევრ-ბირთვიანი (многоядерные) და ბუდობენ სისხლში, მეორე გვარისა—დიდი ტანისა, ერთ-ბირთვიანი და ცხოვრობენ როგორც სისხლში, ისე შემაერთებელ, მუსკულების, ჯირკვლების კვანძებშიაც, პირველს უწოდებენ სახელად მიკროფაგებს, მეორეს მაკროფაგებს. პირველნი ებრძვიან უფრო სისხლში შესეულ მტერს: ბაქტერიებს, გარეშე ნივთიერებას, მეორენი უმთავრეს მონაწილეობას იღებენ მილევის პროცესის დროს; სჭამენ არა საჭირო ელემენტებს, გააქვთ სხეულიდან გაფუჭებული ნაწილები. მაშასადამე, უჯრები-შთანთქმელები იყოფიან ორ ჯგუფად: მიკროფაგებად და მაკროფაგებად. მიკროფაგები, როგორც დარაჯნი, იცავენ სხეულს და ებრძვიან მოღალატე მიკრობებს, მაკროფაგები სრესენ და სჭამენ უვარგის უჯრებს და, ამრიგად, უმზადებენ ნიადაგს ახალ ფორმებს; საჭირო, სასარგებლო უჯრებს ესენი ხელს არ ახლებენ, პირიქით ზოგჯერ ამხანაგობასაც უწევენ მათ.

მაგრამ რა აიძულებს ამ მაკროფაგებს, რომ ზოგჯერ თავს ესხმიან და სჭამენ ზოგიერთ უჯრებს, ზოგჯერ კი ზოგავენ და უწევენ ერთგულებას? საქმე იმაშია, რომ უჯრები განირჩევიან ერთის განსაკუთრებულ თვისებით; ისინი თავიანთ სხეულიდან უშვებენ ერთგვარ წვენს, რომელიც ხან იზიდავს მაკროფაგებს და ხან უკუაგდებს. ამ თვისებით თვალსაჩინოდ განირჩევიან უჯრები ახალგაზდობაში, როდესაც ისინი უფრო ჯან-საღნი და ღონიერნი არიან. ამ დროს ისინი ბლომად უშვებენ სპეციფიურ წვენს და მაკროფაგებიც გვერდს უხვევენ მას; სიბერის დროს კი საქმე იცვლება სულ სხვანაირად: დასუსტებული უჯრები ვეღარ ამზადებენ ამგვარ წვენს და ამის გამო მაკროფაგებიც ძალზედ ეტანებიან მათ და თავისუფლად თარეშობენ მათ სხეულში. „როდესაც ჩვენ ვხედავთ,—ამბობს მეჩნიკოვი,—ახალგაზდა ორგანოებს, რომელთაც სჭამენ ფაგოციტები ერთად იმ ორგანოებთან, რომელნიც გვერდს უხვევენ ამათ, იმის ასახსნელად, თუ რისთვის ელობებიან წინ ეს ორგანოები ფაგოციტებს, უნდა ვსცნოთ, რომ უჯარი უშვებს რაღაც თავისებურ წვენს. ეს წვენი შორს არ მიდის, იქვე რჩება და სულ ერთიანად ფარავს მისს სხეულს. ეს წვენი ჩამოჰგავს ბაქტერიების იმ ლორწოიან ფარს (ბადეს), რომელსაც ძლიერ ერიდებიან ფაგოციტები“.

ამგვარ ჰიპოტეთიურ სჯის შემდეგ მეჩნიკოვი თამამად დაასკვნის: „საქმე იმაში არ არის, საჭიროა თუ არა უჯარი სხეულისათვის, საკმაოა უჯარმა ვეღარ გამოიღოს დამცველი წვენი, რომ მას მაშინვე მიესივნენ ფაგოციტები და შესჭამონ იმის მიუხედავად, რომ იგი ჯერ კიდევ საჭიროა სხეულისათვის“. ამ რიგად, ბოლოს და ბოლოს „მილევის დროს უჯრებში სწარმოებს მუდმივი ბრძოლა. ამ ბრძოლის დროს, ერთის მხრით, თავს ესხმიან მაკროფაგები, მეორეს მხრით წვენის გამოშვებით თავს იცავენ უჯრები“.

ეხლა ვიკითხოთ! შეგვიძლიან თუ არა ამ ბრძოლითვე გავითვალისწინოთ ბებრული მილევაც? შეიძლება თუ არა აქაც ვიგულისხმოთ მაკროფაგების გავლენა, მათი მონაწილეობა და გამარჯვება ამ ბრძოლაში?

პროფ. დემანჟის შეხედულებით ბებრულ დაჰკნობის მიზეზად ითვლება სისხლის მილების გადაგვარება. ამ გადაგვარებას ექიმები უწოდებენ სახელად სკლეროზს, ესე იგი გაკირიანებას, გამაგრებას. სკლეროზის გამო სისხლის მილებს ეკარგებათ სამყეობა და ამისათვის ისინი ვეღარ მუშაობენ ჯეროვნად; ვეღარ აწვდიან სხეულს საკმაო სისხლს. ამის გამო კვანძები თანდათან სუსტდებიან და ილევიან. დემანჟის აზრს არ თანაუგრძნობენ სხვა სწავლულები. მეჩნიკოვი ამბობს: „დემანჟის აზრი უსაფუძვლოა, მით უმეტეს, რომ ფიზიოლოგიურ მილევის ბევრ შემთხვევაში სისხლის მილების სკლეროზს სრულიად არა აქვს ადგილი“. პროფ. კლებსი სწერს: „მილებში სისხლის შემცირებას თან არა სდევს მილევა. ყველაფერი დამოკიდებულია კვანძების მოქმედებაზე, რომელთაც, როგორც მცენარეებს, შეუძლიანთ საკვები გამოსძებნონ დაღარიბებულ ნიადაგიდან“. ერთის სიტყვით, აქაც ყველაფერი დამყარებული ყოფილა უჯრების სიცოცხლიანობაზე. თუ უჯრები ჯანსაღნი არიან, მაშინ სხეულს სისხლიც ბლომად აწვება, თუ არა და, რასაკვირველია, სხეული სუსტდება —სკლეროზის დროს ვიწროვდებიან სისხლის მილები, ამის გამო, ადვილი შესაძლებელია, სისხლი დააკლდეს კვანძებს; მაგრამ მარტო ამას არ ექნება გავლენა ბებრულ მილევის პროცესში—სკლეროზი კი არ არის ბებრულ მილევის მიზეზი, არამედ შედეგია ამ მილევისა, ამბობს მეჩნიკოვი.

ვეისმანის შეხედულებით ბებრული მილევა წარმოადგენს უჯრების გამრავლების ხალისის შემოკლებას (იხ. წინა ფელეტონები). ამ გვარ შემოკლებას, რასაკვირველია, უნდა მოჰყვებოდეს თვით სხეულის დასუსტება, დაძაბუნება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ გვარ გამრავლების ნიჭის დაძაბუნება ყველა უჯრას ერთნაირად არ ეხება: მაგ. ახალი სისხლის ბურთები მუდმივ შედიან სისხლში და ავსებენ მისს დანაკლისს; კანის, ლორწოიან გარსის ეპიტელი (ზედაპირი) მუდმივ წარმოიშობა; კანის შემაერთებელ კვანძის ჰრილობა ნორმალურად მთელდება თავის დროზე, ფრჩხილები იზრდებიან და სხ. ყველა ეს დიდად ეწინააღმდეგება ვეისმანის აზრს ბებრულ მილევაზე. პირიქით გვარწმუნებენ, რომ უჯრებს ჯერ კიდევ არ დაჰკარგვიათ გამრავლების ხალისი და შესაძლო ყოფილა მათი ზრდა. ბებრულ მილევის დროს ბევრი უჯრა პატარავდება და თანდათან გადაგვარდება ხოლმე, მაგრამ ეს მოვლენა საყოველთაო არ არის. „დიდიხანია შენიშნულია, ამბობს მეჩნიკოვი, რომ ბებრების შემაერთებელი კვანძი ამ მაგალითებში წარმოადგენს შესანიშნავ განსაკუთრებას. ჯერ კიდევ პროფ. შარკო გვასწავლიდა, რომ სიბერის დროს ადამიანს თავდაპირველად ელევა ნერვების, მერე მუსკულის უჯრები, შემაერთებელი კვანძი კი მილევის დაგვარად ძლიერდებაო“-ო. ამასვე იმეორებს შემაერთებელ კვანძის შესახებ პროფ. დემანჟი. იმის სიტყვებიდანაც სჩანს, რომ ბოლოს და ბოლოს სხეულში მჰიდროდ იკიდებს ფეხს შემაერთებელი კვანძი სხვა ელემენტების დასუსტებით, დაჯაბნებით ანდა გადაგვარებით. მაშასადამე, გამოდის, რომ სიბერის დროს, ელემენტითა ბრძოლის გამო, სხეულში მჰიდროდ ფეხს იკიდებს შემაერთებელი კვანძი, იგი ახლევს კეთილ-შობილ უჯრებს, აჰარბებს ნერვების, მუსკულების, ჯირკვლების ელემენტების ზრდას, ახშობს მათ მოქმედობას და ხელს უშლის მათ კეთილდღეობას. სულ ერთია, ვისიც თეორიით—მეჩნიკოვის, კლებსის, ვეისმანის, შარკოსი, პოდვისოცკის—ბოლოს და ბოლოს, საზოგადოდ მაინც, უჯრათა შორის ბრძოლას ჰქონია უმთავრესი მნიშვნელობა და ეს ბრძოლა ყოფილა ნამდვილი მიზეზი სიბერისა. ამ გვარია სიბერე სწავლულთა შეხედულებით, მაგრამ აქ საგულისხმოა, რის გამოა, რომ ასე მძლავრად ფეხს იკიდებს ეს შემაერთებელი კვანძი? რისთვის სუსტდებიან სხეულის დანარჩენი ელემენტები?

მეჩნიკოვის აზრით, აქაც ფაგოციტოზი ყოფილა სიბერის მიზეზი, აქაც ფაგოციტები სჩადიან თურმე იმას, რასაც სჩადიოდნენ ისინი თავიდის ბაყაყად გარდაქცევის (შეცვლის) დროს; ე. ი. სჭამენ არა საჭირო, დარღვეულ, დაქანცულ უჯრებს, აშორებენ სხეულს მავნე ელემენტებს, შთანთქმენ ყოველივეს, რასაც სძლევენ და, ამრიგად, ასუფთავებენ საჭირო უჯრებს. ბოლოს, როდესაც აღარა რჩებათ რა საფიქრებელი, თვითონაც ისვენებენ და გარდაგვარდებიან ხოლმე შემაერთებელ კვანძად. მაგრამ, რატომ ამასვე არ სჩადიან ფაგოციტები სხეულის ზრდის დროს? მეჩნიკოვი ამბობს: „უჯრათა არსებობისათვის ბრძოლის დედაბოძს შეადგენს მათი უთანასწორობაო“. ზოგიერთი უჯრები მედგრად შეეტაკებიან ხოლმე მავნე პირობებს და სძლევენ მათ, ზოგიერთნი კი ვერას ხდებიან და სუსტდებიან ამ ბრძოლაში. მაგ., სხეულში არიან იმ გვარი უჯრები, რომელნიც თამამად წინააღუდგებიან ხოლმე სისხლში შეტანილ შხამს, არიან ისეთ გვარნიც, რომელნიც სრულიად ვერას უძლებენ და ვერ ებრძვიან მას. პირველთ ეკუთვნიან ფაგოციტები; ესენი მუდამ ბრძოლაში არიან, ბებრულ გადაგვარების დროს იტაცებენ კვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...დენს. პიესის უმთავრესი ნაკლულოვანება ისაა, რომ შიგ მეტად სქელი საღებავებია ნახმარი, რის გამო მომქმედნი პირნი ტლანქად არიან გამოსულნი, და მით სინამდვილეს ფერი ეკარგება.

**დონ-ვალიანი.**

# ბიბლიოგრაფია

„გუთანი“, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი“, შედგენილი ი. ოცხელის. თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ.

სიამოვნებით მიეგებება ჩვენი საზოგადოება ოჯახსა და სკოლაში საკითხავ წიგნს, მეტადრე იმისთანა განზრახვით შედგენილს, როგორითაც „გუთნის“ შედგენაა შეკრებილი; მაგრამ ოდნავ, წიგნის გადათვალიერებითაც კი დარწმუნდება მკითხველი, რომ „გუთანი“ ვერ შეავსებს დიდი ხნის, ყველასათვის საგრძნობელ ნაკლს ჩვენი პედაგოგიური მწერლობისას, რადგან სხვა ყოველ ენაზე ერთად წიგნი ქართული ლიტერატურული ენით უნდა იყოს დაწერილი და „გუთანი“ კი ცოტა არ იყოს ... ამ მხრივ.

...ასინჯეთ წიგნი.

... წასდებოდა, ჩვენს მწერლობაში ... იღებული და მართებული სკოლას ... ნახმარათ ბ. ბ. პედაგოგებს „შკოლის მაგივრად?

... წასდებოდა, ოდნავ მაინც შეესწავლნათ თარგმანების ენა და მიემატინათ მაინც ქართულისთვის?

... მთარგმნელ-ავტორების მართლ-... ვერ შეეხნენ წიგნის შემდგენელნი?

მაგრამ თუ კი ჭავჭავაძე არ დაინტ... და ზმნის დაბოლოვება ყველგან ... ვისებურად გადაუსწორებს („თუმცა ... ლნი დაგმორდნენ... წვრილშვილნი ... ოგესწრნე“... ჭავჭავაძესა აქვს „დაგმორდნენ“, „წამოგესწრნენ“), მთარგმნელებს დაერიდებოდნენ?

... ჭავჭავაძეს ენას უსწორებენ ... გაუსწორებლივ ბეჭდავენ ამისთანა ... ის ხელ სახელმძღვანელო მარგალიტებს: ... უზიანმა ბავშვმა... საყვარელი დედ... მუძუებში თავი ჩარგო (გვ. 7). ...ილიის წიგნებზედა ეევინთებო- ... (29)... საიდუმლო კიდევ შეინახა ... ) მ.ნ სულგანაბულად მამის თახს

მაიყურა (33); ჯიუტიოს... მთელი თვეობით არ უძინია (34).

წინქვილ. მქონდა და მინდს ვლუბკლობეჯი (73). მარილ საპონზედ გაგზავნიდენ (77).

ბავშვმა დახმარულობის ნიშნად თავი ჩაღუნა (83). გრიგოლი აფადმყოფივით მოიგუჟა (86) და ახალი ბლუზა გაიხადა (88).

ჭერეხებივით ეეარენ და ჭყუმპალაობდენ მეტბორებულებში (93). ელენე (მდინარეს) ზევით შეუყვა (94).

ჩვენი დიდუურა (საუბარი კი კურდღელზედ არის) დაგვეკლა და სხ. და სხ.

(აქ კანონიერია ეს „და სხ.“ და ბელლეტრიულ ნაწარმოებში კი ადგილი არა აქვს—გვ. 80, მოთხრობა თომაშვილისა).

იქნება მრავალი ღირსება ჰქონდეს წიგნს ეს სპეციალისტებმა ბრძანონ. დაამტკიცონ, თუ ხებავთ, რომ პლეხნევიდგან თარგმნილი, ისიც კუდმოჭრილი ლექსი შ. მღვიმელისა (ოჯახის გაუხარებელნი) ორიგინალური თხზულებაა და არა თარგმანი; დაამტკიცონ, რომ არავითარ დისხონანსი არ შეაქვს წიგნში ერთგულის მეგობრის მჯამელ „ბიძია კლაუსს; დაამტკიცონ, რომ „გუთანი“ აღსავსეა უოველი ღირსებით, მაგრამ იმას კი ვერ დაამტკიცებენ, რომ ენის მხრივ დასაწუნი არ იყოს. **ი. მაჭავარიანი.**

## კიდევ ქართულ სამეცნიერო წრის შესახებ

(წერილი პეტერბურგიდან)

უკვე იყო გაზეთებში აღნიშნული, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტთა ჯგუფმა წარსულ სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში დაარსა ქართული სამეცნიერო წრე. ამ წრეს პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს.

წრის უმთავრეს მიზანს საქართველოს წარსულისა და აწყოს შესწავლა შეადგენს. ამის განსახორციელებლად ხელმძღვანელის დახმარებით იგი შესაფერ მასალას გაიცნობს და შეისწავლის, ამხანაგთა მოხსენებებს მოისმენს და სამეცნიერო მიზნით მოგზაურობას გამართავს კავკასიაში და პეტერბურგის შესაფერ მუზეუმებში *). წრეში არსებობს აგრეთვე განსაკუთრებული საბიბლიოგრაფიო ჯგუფი, რომლის წევრებიც მარმანვე შეუდგნენ მუშაობას პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავში. ასე რომ, თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, იმედია, წრეული იგი დაასრულებს მეცხრამეტე საუკუნეში გამოსულ ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფიას (რუსულ და უცხო ენებზე მხოლოდ ის მასალა გადაიმინჯება, რომელიც კავკასიას და განსაკუთრებით საქართველოს შეეხება).

რადგან წრე ოფიციალურად მხოლოდ წარსულ სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში დაამტკიცეს, ამიტომ მარტო ერთი მოხსენება იქმნა წაკითხული ი. ყიფშიძის მიერ: „ერეკლე მეორის შინაურ პოლიტიკის შესახებ“. რეფერენტმა თავის მოხსენებაში ის აზრი გამოსთქვა, რომ ერეკლე მეორე შესანიშნავია არა მარტო თავის გმირულ სამხედრო მოქმედებით, არამედ აგრეთვე შინაურ პოლიტიკითაც, რიდასამტკიცებლადაც ჩამოსთვალა ამ სახელოვან მეფის მიერ განხორციელებული რეფორმები.

წრეულს ზაფხულში ი. ჩერქეზიშვილმა შესწირა საქართველოში ოცამდე მეთვრამეტე საუკუნის დროინდელი საბუთი, რომლის შესახებაც 29 ოქტომბერს ქართულ სამეცნიერო წრის კრებაზე მოხსენება წაიკითხა.

5 ნოემბერს ცომაიამ წაიკითხა წრეში შემდეგი მოხსენება: „სწავლა-განათლება საქართველოში მე IV საუკუნიდამ მე XII საუკუნის დამლევამდე“. ამავე სამოსწავლო წელს იგი ამ საკითხს გაარჩევს მე XVIII საუკუნის დამლევამდე და მოხსენებებს წაიკითხავს წრის კრებებზე. წრე უოველ კვირას, ოთხშაბათობით, იკრიბება აღმოსავლეთ-ფაკულტეტის აუდიტორიაში. შემდეგ კრებებისათვის უკვე დამზადებულია რამდენიმე მოხსენება. თვითეულ მოხსენების წაკითხვის შემდეგ გამათი მოხდება ხოლმე.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრემ ქართულ სამეცნიერო წრეს შარშანვე გადასცა თავისი წიგნთსაცავი. წრეულს ზაფხულში ქუთაისის გამომცემელ ამხანაგობამ წრეს შემდეგი წიგნები გამოუგზავნა: მამია გურიელის ლექსები I ტ., გიორგი წერეთლის 3 ტ., საქართველოს ისტორია“ ბარათაშვილისა, თარგმ. ს. ხუნდაძის მიერ, „გურგენ რაინდი“, ცახელისა და გრიგოლ აბაშიძის ლექსები I ტ. ი. ა. ჯავახიშვილმა შესწირა თავისი შრომები: „ქართველ ერის ისტორია“; „Исторія церковнаго разрыва между Грузіей и Арменіей въ началѣ VII вѣка„, ბ. ესაძემ შესწირა ორი წიგნი „Исторія намѣстничества на Кавказѣ“

ქართულ სამეცნიერო წრის გამგეობა უველა კერძო პირს და საზოგადო დაწესებულებას უმორჩილესად სთხოვს წიგნების და მასალის გამოგზავნით დაეხმაროს მას. უმორჩილესად სთხოვს იგი აგრეთვე ტფილისის ყველა ჟურნალ-გაზეთის რედაქტორებს გამოუგზავნონ თავიანთი გაზეთი პეტერბურგის უნივერსიტეტის სასადილოში ქართველ და საერთოდ ყველა კავკასიელ სტუდენტებისთვის.

წრის ადრესი: Петербургъ, Васильевскій Остров. 5-ая линія д. 38 кв. 19, Георгію Григорьевичу Мамрадзе.

გაზეთები კი გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Петербургъ. Въ столовую Пет. Университета. **გ. მ.**

...შობილ უჯრებს და მათ მაგიერ ...იან შემაერთებელ კვანძს. ხანგრძლივ სიცოცხლის განმავლობაში ...ლი, რასაკვირველია, ათასნაირად ...ლება, გრძნობიარე უჯრებივერ-...დ იტანჯებიან და სუსტდებიან, ...ც იულინთებიან შხამით—ფაგოციტები...ც, როგორც მოდარაჯენი, ...როს თავს ესხმიან მათ და სცდილობენ გა...დაიგვარონ. ამ რიგად, ...ციტები არ უხვევენ გზას თა...თ მიზნის მისაღწევად, ახალგა...ბაში თვით უჯრები სცდილობენ, როგორმე დაიცვან თავი, მაგრამ ...როს და ბოლოს ველარ უწევენ ...ამდეგობას მავნე პირობებს და ...გამო ჩნდებიან ფაგოციტები და ...ლობენ გაანთავისუფლონ სხეული შხამის გან. რასაკვირველია, შხა...მტერება ფაგოციტებსაც, მაგრამ ...ჯა ასკნელნი შეუპოვარი არსებანი არიან, ამათ არა იციან რა შიში და ამ გაბედულობის გამო კიდეც ხშირად იმარჯვებენ და ამარცხებენ კეთილშობილ უჯრებს. ზოგჯერ ისიც მოხდება ხოლმე, რომ ...ხნებული ფაგოციტები, იტაცებენ უმანკო უჯრებსაც და სჭამენ, მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს სხეული მაინც სუსტდება, ბერდება და ამ სიბერის დროს თავდაპირველად ჯერ სუსტდებიან უჯრები და მერე ფაგოციტების მსხვერპლად ხდებიან.

ამ გვარია მეჩნიკოვის აზრი სიბერეზე და იმ მიზეზებზე, რომლებიდანაც წარმოსდგება ეს სიბერე. როგორც სჩანს, აქ ყოველივე დამყარებული ყოფილა ფაგოციტებზე და მათ გაუმაძღრობაზე; ფაგოციტები რომ არა, ვითომ, სიბერესაც არ ექნებოდა ადგილი ცხოვრებაში, ვითომ ისინი იმისათვის არიან გაჩენილნი, რომ დააბერონ სხეული და ულმობლად გამოათხოვონ ამ წუთი-სოფელს. სიმართლე თხოულობს ალვნიშნოთ, რომ თვით მეჩნიკოვი არ ლაპარაკობს თავის სწავლაზე, როგორც ჭეშმარიტებაზე—ისიც დარწმუნებულია, რომ მისი სწავლა მხოლოდ ჰიპოტეზაა და რომ ამ სწავლაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის გარკვევით შესწავლილი და გამორკვეული, რომ მასში ბევრს შეუფერებლობას აქვს ადგილი. მაგ., რით აიხსნება ის ფაქტი, რომ სიბერეში შემაერთებელი კვანძი თხელდება, წვრილდება? რატომ ამ მოვლენას არ ექვემდებარებიან ნერვების, მუსკულების უჯრები? თუ ფაგოციტები (მაკროფაგები) იქცევიან შემაერთებელ კვანძად, როგორაა, რომ ეს კვანძი თანდათან კლებულობს და სუსტდება? როგორ ხდება ის, რომ ლიმფატიური ორგანოები, ჯირკვლები, ელენთა სიბერის დროს ილევიან ხოლმე და ფაგოციტები კი, რომელნიც წარმოდგებიან ამ ორგანოებიდან, მრავლდებიან და მაგრდებიან? ნუ თუ შესაძლოა, წყლის სათავე დაშრეს და წყალმა არემარე მორწყოს?

ბევრი ამგვარი შეუფერებლობა ეტყობა მეჩნიკოვის სწავლას და ეს, ვფიქრობთ, იმისი მიზეზი უნდა იყოს, რომ მეჩნიკოვი ხშირად ურევს ერთმანეთში შედეგსა და მიზეზს—უეჭველია, ყოვლად საყურადღებოა და მომხიბლავი მისი სწავლა, მაგრამ ერთი ნაკლულევანება მაინცა აქვს: მეჩნიკოვს ერთი ფაქტიც არ მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ფაგოციტოზი მიზეზია და არა შედეგი სიბერისა. აი რას ამბობს ამაზე პუნია: „როდესაც პირველი უჯარი დაბერდება, ის სუსტდება და ხდება ფაგოციტოზის მსხვერპლად. ამათის წყალობით უჯარი ირღვევა, იშლება და დნება თანდათან“. მეჩნიკოვიც არ უარჰყოფს ამ აზრს, მაშასადამე, უჯრები ბერდებიან იმისთვის, რომ მაკროფაგებმა დაარღვიონ ისინი და მისცენ გზა შემაერთებელ კვანძს. მაგრამ ეს ნუ თუ იმას არ გვეუბნება, რომ ფაგოციტოზი ვერ გვითვალისწინებს ბებრულ მილევას, რომ ეს მოვლენა დამყარებულია თვით უჯრების შინაარსზე და რომ თვით ფაგოციტოზი შედეგია ბებრულ მილევისა? **დ. ახვლედიანი.**

(დასასრული იქნება)

# რუსეთი

✦ **სამხედრო მინისტრი.** რუსეთის გაზეთებს სარწმუნო წყაროებიდან გაუგიათ, რომ ეხლანდელი სამხედრო მინისტრი რედიგერი თავს ანებებს მინისტრობას.

✦ **ტაშკენტის რკინის გზის რევიზია.** ტაშკენტის რკინის გზის რევიზია უკვე დამთავრდა. როგორც მოსალოდნელი იყო, რკინის გზაზე ათასი ჯურის ბოროტგანძრახველობა აღმოაჩინეს. სხვათა შორის რევიზიას აღმოუჩენია, რომ ამ გზის სახელმწიფო კონტროლიორს ეყოლა რამდენიმე ათი საყვარელი ქალი ჰყოლია, რომელნიც დღიურ მუშებად ყოფილან ჩაწერილნი და სახელმწიფოსგან იღებდნენ ჯამაგირს. ამას გარდა, ეყოლა კავშირი ჰქონია მატარებლების მცარცველებთან, რომელნიც წილს უდებდნენ ეყოლა.

✦ **აზნაურების გადასახლება.** კურსკის გუბერნიის აზნაურები გამგზავრებულან ციმბირში. მათ აზრადა ჰქონიათ იქ დასახლდნენ. აზნაურების რიცხვი თურმე ბევრია. ეს პირველი მაგალითია, რომ აზნაურები ციმბირში ჯგუფად მიდიოდნენ ადგილების შესასყიდად.

✦ **„ჭეშმარიტი რუსი“ ქალები.** მომავალ დეკემბერში მოხდება სრულიად რუსეთის ქალთა კრება. „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის ქალების წარმომადგენლებს თათბირი ჰქონიათ, მიიღონ მონაწილეობა ქალთა კრებაში თუ არა. „ჭეშმარიტ რუს“ ქალებს დაუდგენიათ, რომ მათ არ შეჰფერით მონაწილეობა მიიღონ „კრამოლნიკ“ ქალების კრებაზე.

✦ **სექტანტებში.** შინაგან საქმეთა სამინისტროში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მზადდება ცირკულიარი გუბერნატორებისადმი, რომ მათ უნდა სდევნონ „სკოპცები“, დანარჩენ სექტანტების არსებობა კი უმაღლესად ნება დართულია და ამიტომ მათ ხელი არ უნდა ახლონ.

✦ **„მემარცხენე“ პრესსა.** უწმიდეს სინოდში ამ დღეებში განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ შეჰკვეცონ ფრთები „მემარცხენე“ პრესსას. მიზეზი ამ საკითხის დაჩქარებისა, გაზეთების სიტყვით, „ჭეშმარიტ რუსთა“ და „მთავარ ანგელოზ მიხეილის“ კავშირების შუამდგომლობაა. ამათ უთხოვიათ, რადგან საერო მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ პრესსას, თქვენ იზრუნეთო.

✦ **მოსკოვის რევიზია.** სენატორ გარინს უკვე დაუმთავრებია მოსკოვის რევიზია. სენატორს აუარებელი მასალა შეუკრებია და ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენია. მას უკვე შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ მოსკოვის ყოფილი გრადონაჩალნიკი სამართალში იქმნეს მიცემული. ამასვე არ ასცდებიან მოსკოვის საიდუმლო პოლიციის აგენტები. მათ შორის პოლიციის უფროსიც, რომელთაც „ექსპროპრიატორებთან“ დამოკიდებულება ჰქონიათ. იმის მაგივრად, რომ „ექსპროპრიატორები“ შეეპყროთ, მათგან ნაწილს იღებდნენ ან თითონ მონაწილეობდნენ ექსპროპრიაციაში. („რუსკ. სლ.“)

✦ **მინისტრის დეკლარაცია.** როგორც გაზეთი „სლოვო“ გადმოგვცემს, გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი დეკლარაციას ბალკანეთის საქმეების შესახებ სახელმწიფო სათათბიროს დახურულ კრებაზე წაიკითხავს.

✦ **პურიშკევიჩი.** ამ დღეებში კიევის ოლქის სასამართლომ გაამართლა გრიგორ ბროდსკი, რომელსაც დარაჯების მკვლელობა ჰბრალდებოდა. ამის გამო პურიშკევიჩს თავის მეგობრებისთვის კიევში შემდეგი წერილი მიუწერია: „კეთილ ინებეთ და შემატყობინეთ ბროდსკის შესახებ ყველაფერი: 1. რა მიზეზით მოსპო გამომძიებელმა ბროდსკის საქმე; 2. რის ძალით გაარჩიეს მისი საქმე ნაფიცმა მოსამართლეებმა; 3. პროკურორის შესახებ ცნობები და ყველა იმ პირებისა, რომელნიც პროკურორმა საბრალმდებლო ოქმიდან ამოშალა; 4. ვინ არიან ნაფიცი მოსამართლენი, რა დამოკიდებულება აქვთ ებრაელებთან და სხვა. შემატყობინეთ მოკლე ხანში ყველაფერი. რუსეთი საფრანგეთი არ არის. დრეიფუსებს ჩვენ არ გავუშვებთ. სახელმწიფო სათათბიროში შევიტანთ ვამზადებ და ცოცხალი აღარ მინდა ჩემი თავი, თუ ხუშიფოს მოსამ ახურეების მკვლელს ტუსაღთა განყოფილებაში ან კატორღაში არ ამოვაყოფინო თავი. ძალა დაატანეთ პროკურორს, რომ მან პროტესტი შეიტანოს ბროდსკის საქმის შესახებ“.

✦ **ვოსტორგოვი.** „ბირჟ. ვედ.“ სიტყვით, სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების პროტოპრესვიტერი თანამდებობას თავს ანებებს. იმის ალაგას, ამავე გაზეთის სიტყვით, ნიშნავენ ჩვენში ცნობილ დეკანოზს ვოსტორგოვს.

# მეორე ღია წერილი

**ნავთლუღის მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისადმი.**

ამ წლის დამდეგ გაზეთ „ისარის“ (№№ 26, 28 и 29) და „ზაკავკაზიეს“ (№№ 32 და 33) საშუალებით თქვენ მრისხანედ გამოიწვიეთ სამედიატორო სამართალში ის პირები, ვინც თანამოაზრენი იყვნენ გაზეთ „ისრის“ მეექვსე ნომერში („უკანასკნელი კრება სამღვდელოების დეპუტატებისა“) და გაზეთ „ზაკავკაზიეს“ მეხუთე ნომერში („Итоги съѣзда духовенства грузин. епархій“) დაბეჭდილ წერილების ავტორებისა და გაბრალებდნენ, რომ თქვენ შეუფერებელი როლი ითამაშეთ იმერ—ამერ ქართველ სამღვდელოების შორის. გარდა ერთ დეკანოზისა, რომელსაც თქვენ ადვილად ვერ დაივიწყებთ (იხ. „ისარი“ 1908 წ. №№ 42—48), მეც განვაცხადე ულრმესი სიამოვნება და სრული თანხმობა, რომ გამოვსულიყავ თქვენთან სამედიატორო სამართალში, და გაზეთ „ზაკავკაზიეს“ 13 თებერვლის ნომერში მოგმართეთ პირველი ღია წერილით, რომ თქვენ მით უფრო დაგვეჩქარებინათ სასამართლოს სხდომის მოწვევა. ამასთან გამოვაცხადე, რომ მე წინდაწინ თანახმა ვარ იმ განაჩენზე, რომელსაც დაადგენდნენ „თქვენგან არჩეულნი მოსამართლენი“. 14 თებერვალს „ზაკავკაზიეს“ საშუალებით გადავეცი სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარეს (და ორ წევრს კოპიოც) ცხრამეტი მუხლი ბრალდებისა, რომელშიაც დაწვრილებით დავახასიათე თქვენი მოქმედება „იმერ—ამერლობის საკითხში“ და განმარტებით დავასახელე ბრალდების ყოველ მუხლის მოწმენი. როცა ზოგიერთმა მედიატორმა შეგვატყობინა იმის შესახებ, რომ სასამართლოს სხდომას პირად არ დავესწრო, ათ მაისს რედაქციისაგან ოფიციალურად შემოწმებული და ჩემგან სრულიად დასაბუთებული წერილი გადავეცი ბატონ თავმჯდომარეს, რომელსაც უმორჩილესად ვთხოვე საქმის გარჩევის დაჩქარება და დავუსახელე საბუთები, რომ: ა) პირად ჩემი დასწრება სხდომაზედ არაფერს შემატებს საქმეს, რადგან 14 თებერვლის წერილში ნაჩვენებია როგორც ბრალდების დაწვრილებითი შინაარსი, ისე მისი მოწმენი; ბ) თავის ფსევდონიმის დაფარვა უცილობელი უფლებაა ყოველ ავტორისა, რასაც სრულიად ამართლებს სამედიატორო სასამართლოების პრაქტიკა, რადგან ფსევდონიმის მატარებელს არსებულ სამწერლო ეთიკის უფლებით შეუძლიან პირად არ გამოცხადდეს სამედიატორო სასამართლოს სხდომაზედ, და გ) პირად მე არ შემიძლია დავესწრო ამ შემთხვევაში მედიატორების სხდომას, რადგან არ მინდა გამოვამჟღავნო ჩემი ფსევდონიმი, რომელსაც, თუმცა მეტრე, მაგრამ გამჟღავნება... თუ თქვენ, მამაო იოსებ, ... მედიატორები ... საბუთებისა, ვალდებულნი მაინც იყავით გეცნობებინათ ჩემთვის პასუხი იმავე რედაქციის საშუალებით, რომელმაც ხსენებული ჩემი წერილი შემოგზავნა. ხოლო თუ თქვენ დაკმაყოფილდით ჩემის საბუთებით, მაშ რა მიზეზია, რომ ამ წლის თერთმეტ მარტის შემდეგ ჩვენ შორის საცილო საკითხის შესახებ არც ერთი სხდომა არა ჰქონიათ თქვენს მედიატორებს? რად გაჩუმებულხართ და გაჩუმებულან? ზოგნი ამბობენ, ერთი მედიატორეთაგანი საზღვარ გარედ წავიდაო. ზოგნი კიდევ—საზღვარგარეთ გავიდნენო. დიდი ხანია, რაც წასული უკვე დაბრუნდა, სხვებიც ჩამობრძანდნენ აგარაკებიდან და ლამის მეორე აგარაკობაც მალე დადგეს. მაშ, იქონიეთ მოქალაქობრივი ვაჟკაცობა და დააჩქარეთ მედიატორეთა განაჩენის დადგენა, რომელიც პირველად თქვენ მოითხოვეთ. იმედი მაქვს, ამ საკითხს ასე გამოურკვევლად არ დაახვედრებთ დეპუტატებს, რომელნიც საცაა ჩამოვლენ შარშანდელ საეპარქიო კრების გასავრძელებლად; ვიმეორებ, რომ თუ თქვენ საქმის ვითარება გაინტერესებთ და არა ჩემის ფსევდონიმის გამოქვეყნება, იმ შემთხვევაში მედიატორებთან ჩემი პირად გამოცხადება საქმისათვის აუცილებელი არ არის და ამას გარდა სხვა და სხვა მოსაზრებით ჩემთვის ეს შეუძლებელიც არის. თქვენ უნდა გაინტერესებდეთ ჩემი ვინაობა კი არა, არამედ ის მიზანი, რომ გაზეთებში გამოცხადდეს მედიატორეთა ისეთი დადგენილება, რომლითაც ახელის მიერ თქვენ შესახებ გაზეთებში გამოთქმული აზრი ცილისწამებად იქმნას აღიარებული. **ახელი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ივანე ხოზიაშვილი.**


# განცხადებანი

**ექიმი უ. მ. ჩიქოვანი**

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზე, ვორონცოვის მეგლის მახლობლად, საკუთარ სახლში, N 15; ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—15)

ქ. ქუთაისში

**თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში**

(ალექსანდრ. ქ. ბულვარის მახლობლად, დიმ. ზ. ბიჯურიას მენიბაში)

იყიდება ყოველგვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები.

სოფლის მასწავლებლებს, სოფლის სკოლებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ დაკლებულ ფასით.

აქვე იყიდება წიგნი **გუთანი,** ოჯახსა და სკოლაში ყრმათათვის საკითხავი, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. ფასი 80 კ. (15—6.—11)

GRAND PRIX

1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. 1896 წ.

დედამიწაზე საუკეთესო

# გალოშები

სამ კუთხით

1860. Т.Р.А.Р.М С.ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობა

ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“

ს.-პეტერბურგში

სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.

იყიდება ყველგან

(50—5.—29)